სახალხო გაზეთი

№ 938 სამშაბათი, 9 ივლისი 1913 წ. № 938

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ტფილისი

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდი, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 4 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

სოფ. არბოში (გორის მაზრა) ორშაბათს, 8 ივლისს, 1913 წ. დილის 2 საათ. ნახევარზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ წყნარად გარდაიცვალა

ქეთევან ლუარსაბის ასული ქურულისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქალი ქვრივი გენერალ-ლეიტენანტისა **ნინო დურმიშხანის ასული მაკარაშვილისა** შვილებითურთ, შვილი და რძალი განსვენებულისა **გიორგი დურმიშხანის ძე** და **ელენე გიორგის ასული ქურულები** შვილებით. დაკრძალვა მოხდება **სოფ. არბოში** საგვარეულო სასაფლაოზე, წმ. გიორგის ეკლესიაში, ცხედარს გამოასვენებენ 11 ივლისს დილის $11^1/_2$ საათზე. 422

ახალი კლუბი

სამშაბათს, 9 ივლისს, გაიმართება

კონცერტი

ლეიპციგის კონსერვატორიის ლაურეატის, ლისტის სახელობის ჯილდოთი დასაჩუქრებულის

ბერტა ბურშტეინისა

დაუკრავს ლისტის ნაწარმოებთ **ვ. ი. ზელიონის** ლოტბაროობით. დაწვრილებით აფიშებში. თეატრში შესასვლელი ფასი 1 მ. 20 კ.—25 კაპეიკამდე. სტუმრები კლუბში შესვლისათვის იხდიან: კაცები—50 კ. ქალები და სტუდენტები—25 კ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე 1358.

ოქროს მედალი რომის გამოფენაზე 1910 წ.

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა
ძმ. ტარნოპოლეზისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის $11^1/_4$ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი ლონდონის გამოფენაზე 1910 წ.

ბრძოლის ღიმილი

ი. გრიშაშვილისა

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—$1^1/_2$ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით $10^1/_2$—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2$—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606'' და **,,914'' წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035



პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთ ნ, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვა იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 9 ივლისს, 1913 წ. გაიმართება

ექსტრაორდინალური წარმოდგენა,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს საცირკო ხელოვნების ყველა ძალ . რადგანაც სახელგანთქმული მოჯირითე ბულგარელი ქალი **თამარა** დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე, ამიტომ დირექციამ იგი მიიწვია კიდევ 15 დღით. დღეს მონაწილეობას იღებენ ყველა ხუმარები, რიჟები, ექსცენტრიკები, კალამბურისტები, ეკვილიბრისტები, მავთულზე მოსიარულენი, მხედარნი ქალნი და კაცნი და აკრობატები.

ანონსი: დღეს ცირკის მეორე განყოფილება ჩამოვა: აუარებელი ახალი სანახაობა.
ანონსი: ხვალ დაიწყება გასტროლები მსოფლიო სახელგანთქმულ ოთხი ეშ აკისა. გასტროლებს ყველა დღეს ადგილების ფასები ჩვეულებრივი იქნება. 421

დასაწყ. საღ. 8 ს. დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**

417 გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

ხაშურის (მიხაილოვო) საზოგადო 6 კლასიანი
სავაჭრო პროგიმნაზი

(მოსწავლეთათვის უფლებიანი) იწვევს თავისუფალ ადგილებზე შემდეგი საგნების მასწავლებლებს: 1) ლათინური ენისა 15 გაკვეთილი —1200 მანეთი წელიწადში. 2) რუსული ენისა მე-III, IV, V, და VI კლასებში—1200 მანეთი წელიწადში, 3) ნემეცური ენისა ყველა კლასებში—1200 მანეთი წელიწადში. და 4) მათემატიკისა მე-III, IV, V და VI კლასებში, ფიზიკისა მე-VI კლასში და ბუნებისმეტყველებისა მე-II და III კლასებში—1320 მან. წელიწადში.

თხოვნა და დოკუმენტები მოკლე „curiculum vitae“-თ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Михайлово, тифл. губ., въ комитетъ о-ва попеченія о гимназіяхъ въ сел. Михайлово. 1386.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

საზოგადოების გამოცემული და საკუთარი წიგნები:

ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა	4 კ.	ვეფხის ტყაოსანი,	60 ,,
ასპინძის ომი, ი. გოგებაშვ.	7 ,,	ვეფხის ტყაოსანი, ქართ. გამოცემა,	1—65 ,,
ამბავი ცხოველთა სამეფოსი, ნ. რუბაკ.	50 ,,	Законы Царя Вахтанга,	3—50 ,,
აზიის მნათობი,	10 ,,	თხზულ. რ. ერისთავისა მეორე ნაწ.	40 ,,
ამოდის, ნათდება, ვაჟა	15 ,,	,, ვაჟა-ფშაველასი	1 —
ილი, ლომაური	10 ,,	,, პუშკინისა	50 ,,
აჩრდილი, ილია	5 ,,	,, ეკ. გაბაშვილისა	1—20 ,,
ბუნების ცოდნა, პოლ-ბერი	25 ,,	თავდადებულნი ქართველნი, ი. გოგ.	7 ,,
ბორტქ ძლევა-მოსილი	20 ,,	თავდადებ. ქართველი ეჯიფი, ი. გოგ.	5 ,,
ბურჯი ეროვნებისა,	20 ,,	თორნიკე ერისთავი,	35 ,,
გეომეტრიი მეორე ნაწ., მ. ყიფიანისა	50 ,,	იავნანამ რა ჰქმნა?	5 ,,
გულივერის მოგზაურობა,	30 ,,	კონა, ი. გოგებაშვილი.	40 ,,
განდეგილი, ი. ჭავჭავ.	5 ,,	კრილოვის არაკები, აკაკის ნათ	50 ,,
გლეხთა განთ. პირვ. დრ. სცენები, ჰ.	7 ,,	კაკო ყაჩაღი,	5 ,,
დედა და შვილი, ჰ.	3 ,,	კაცია ადამიანი?!	20 ,,
ერეკლე მეფე და ინ. ქალი,	5 ,,	საარაკო თავგადას. ტარიელ მემკვიდრისა,	10 ,,

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა
საბჭო

ამით აცხადებს, რომ ჭიათურის სამრეწველო საავადმყოფოში არის **თავისუფალი ადგილი**

მოსიარულე ექიმისა,

ჯამაგირი ექნება 1,500 მან. და ბინის ფული 300 მან. ქართული ენის ცოდნა აუცილებელია. ადგილის მიღების მსურველთ შეუძლიანთ შეიტანონ განცხადება საჭირო საბუთების წარდგენით შავი ქვის მრეწველთა საბჭოში ქუთაისში 1913 წ. 20 ივლისამდის; ცნობის მისაღებად მიმართვა შეიძლება ჭიათურის სამრეწველო საავადმყოფოს გამგე სიმონ დავითის ძე ჯაფარიძესთან. 1378

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა **,,მეგობრობა'',** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ეძებს, ჩამოსული, ახალგაზდა **ოსი,** რომელ. აქვს სარეკომენ. ბარათი ბაქოს წყალსად. მართველობისაგან, სამსახურს: საოჯახო საქმეთა გამგისას, მეთვალ. წამყოლ-წამომყოლ., მიმსვლელ-მომსვლ., ჩაფრის, ყარაულ., ნოქრის, ან და სხვა შესაფერ ადგილს. მისამართი კანტორა „დოვერიე“ გოლოვინის პროსპ. № 39. 415

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღებს **აბასთუმანში**. შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჰლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **ღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 6—7 ს. მისამართი: აბასთუმანი ტერ-მარქაროვის აგარაკი. 1071

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

კბილის ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

საზურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ღიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ თილდას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ.-დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კიღურაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი· აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით 1035

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ქალაქის თვითმმართველობაში აღმოჩენილ ბოროტმოქმედების გამო.** 6 ივლისს ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის კრებაზე საკითხი აღიძრა ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურის ნ. მარქაროვის შესახებ, რომელმაც საქალაქო ფული ?იითვისა. საქმის ვითარება შემდეგია: შარშან ხმოსანმა ქობულაშვილმა, სამეურნეო კომისიის წევრმა, გამგეობას აცნობა, სამეურნეო მეთვალყურე ნ. მარქაროვი, რომელიც მაშინ სალდათის ბაზრის რაიონში იყო, ქრთამებს იღებს მოვაჭრეთაგანაო. საქმე გამოსარკვევად სარევიზიო კომისიას გადაეცა, რომელმაც თავის მხრივ საქმე ქალაქის გამგეობას დაუბრუნა თავის დასკვნით. ქალაქის გამგეობამ მაშინ მთელი საქმე მიაფუჩეჩა და ნ. მარქაროვი ერთი უბნიდან მეორე უბანში გადაიყვანა. ახლა სამეურნეო კომისიამ დაადგინა, ქალაქის საბჭოს პირველ კრებაზედვე, რომელიც 10 სექტემბერს მოხდება, შეიტანოს შესაფერი შეკითხვა.

როგორც ირკვევა, ნ. მარქაროვი ფულს ათი წიგნაკით აგროვებდა სახლის პატრონთაგან. იმათში კონტროლიორი მხოლოდ რვა წიგნაკს ამოწმებდა. ერთის წიგნაკით გაფლანგული ფული მარქაროვმა უკვე შეიტანა, ხოლო მეორე წიგნაკის საქმე გამოურკვეველია. წიგნაკი არსად სჩანს. თვით ნ. მარქაროვი ამბობს, დამეკარგაო. ჰფიქრობენ, მეორე წიგნაკითაც უნდა იყოს გაფლანგული ფული.

ქალაქის გამგეობა საგანგებო წერილებით შეეკითხა მე-10 და 12 უბნის სახლის პატრონებს, რომელთაგანაც ჰკრებდა ფულს მარქაროვი, რამდენი აქვს აღებული მათგან ნ. მარქაროვს და რა კვიტანციებს უჭირავთ ხელში.

✦ **გადასახლებულნი.** მეფის მოადგილემ ნება დართო სტუდენტებს პ. ი. საბაშვილსა და მ. ი. მაღლაბერიძეს, რომელნიც ასტრახანში არიან გადასახლებულნი, სამშობლოში დაბრუნდნენ.

✦ პირველ სახელმწიფო სათათბიროს წევრს **ისიდორე რამიშვილს,** რომელიც აგრეთვე ასტრახანშია გადასახლებული, ნება დართეს, ორის თვით სამშობლოში დაბრუნდეს.

✦ პირველ სახელმწიფო სათათბიროს წევრი **ვ. ლომთათიძე** მეტეხის ციხიდან, სადაც სასჯელი მოიხადა, ასტრახანს გაჰგზავნეს ეტაპით. მას მოათავსებენ სამადლო სახლში ასტრახანში, რადგან ავად არის.

✦ სათათბიროს დეპუტატი **ვ. გელოვანი** 7 ივლისს ტფილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა.

✦ **კალათების ქსოვა.** აღბულაღის სატყეო რევიზორმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, მომავალ შემოდგომაზე აღბულაღს ინსტრუქტორები გაჰგზავნოს, რომელნიც სასოფლო სკოლების მოსწავლეთ კალათების ქსოვას შეასწავლიან.

✦ **მეცხვარეობის გამოფენა.** მესაქონლეობის უფროს სპეციალისტის ა. ა. ქალანთარის მეთაურობით კავკასიის მეცხვარეობის გამოკვლევას შეუდგნენ.

✦ **წვრილი კრედიტის ტფ. საგუბერნიო** კომიტეტმა ნება დართო, დაარსდეს: 1) სოფ. სართიჭალაში (ტფ. გუბერნია) საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც სახელმწიფო ბანკიდან ძირითად თანხად 1,000 მან. მიეცემა და 2) სოფ. დიდ გომარეთში (ბორჩალოს მაზრა) შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა რომელსაც სახელმწიფო ბანკიდან ძირითად თანხად 2,000 მან.

ფილოქსერასთან ბრძოლა. თელავსა და ვარდისუბანში აღმოჩენილ ფილოქსერის ახალ ბუდეების გამო გუშინ საგანგებო კრება ჰქონდა მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტს.

✦ **ხელსაქმის კურსებზე.** რომელიც მესამე საქალებო გიმნაზიაში გაიხსნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მასწავლებელ ქალთათვის, ამჟამად 50 კაცია.

✦ **წყალსადენი ხარფუხში,** გუშინ ხარფუხის მცხოვრებლებმა, რიცხვით 180 კაცმა, საერთო თხოვნა მისცა ქალაქის გამგეობას. სთხოვენ წყალსადენი გაიყვანოს ხარფუხში, სადაც ღარიბ მცხოვრებთ ვედრო წყლის ყიდვა 2 კ. უჯდებათ.

✦ მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებულმა ნება დართო ლ. გ. რახმანს, **ავტომობილი** ამუშაოს ტფილისს-კავკავსა, ტფილისს-სიღნაღსა, ტფილისს-თელავსა, ტფილისს-ლაგოდეხსა და ტფილისს-მანგლის შუა.

✦ **ქალაქის საელექტრონო სადგურზე** ნიკოლაევის ქარხნის მიერ დადგმულ დიზელების მოუწყობლობამ ქალაქის გამგეობა საგონებელში ჩააგდო, რადგანაც ელექტრონის ძალით სარგებლობა ჯერ კიდევ არ შეუძლიან და ქალაქს ეს დიდ ზარალს აძლევს. ნიკოლაევის ქარხანას ქალაქის კასაში ბედ შეტანილი აქვს 60,000 მან. ამ ფულით იფარება ის ჯარიმა, რომელსაც გამგეობა ქარხანას ადებს დროზე სამუშაოს ჩაუბარებლობისთვის. ეს ფული—60,000 მან.—ჯარიმამ უკვე გადაყლაპა და საჭიროა ახალ ბეს წარდგენა ქალაქის კასაში. როგორს გზას დაადგეს ქალაქი და რა ღონისძიებანი მიიღოს საქმის დროზე მოსაწესრიგებლად, ამის თაობაზე ამ დღეებში კრება ექნება ქალაქის საელექტრონო სადგურის აღმშენებელ კომისიას.

✦ **მ. ნ. ათაბეგოვს** ქალაქის გამგეობის წევრს, ნება მიეცა თვე ნახევრით დასასვენებლად წავიდეს.

✦ **სასოფლო-სამეურნეო საწყობი.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას აზრად მოუვიდა, დააარსოს ტფილისში ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო საწყობი მთელის ამიერ-კავკასიისთვის.

✦ **საბოტანიკო ბაღის შესანახად** თავის განყოფილებებით წლის მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა დამატებით გადასდო 6,200 მან.

✦ **ტფ. საბოტანიკო ბაღისა** და ყარაიაზისა, ბაკურიანისა და კოლ-

ხიდის განყოფილებაში სხვა და სხვა შენობის ასაგებად მიწადმოქმედების დეპარტამენტმა 78,965 მან. გადასდო.

✦ **კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტმა** მატყლის სართავი სახელოსნო მოაწყო. სახელოსნოს მოქმედების დასაწყებად მიწადმოქმედების დეპარტამენტმა 11,300 მან. გადასდო.

✦ **საბირჟო ცნობები.** 8 ივლისს, პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტ. საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ - 85 მან. 25 კ., აძლევდნენ —84 მან., 10 კ. ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ —83 მ. 25 კ., აძლევენ—82 მ. 75 კ., ქუთაისის სათავ.-აზნაურო სადგილ მამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—81 მ., აძლევდნენ—80 მ. და სახელმწიფო მომგებიან ბილეთებისა: პირველ სესხისა —470 მ. 50 კ., მეორისა—343 მ. 50 კ. და მესამისა—316 მან.

✦ **სასოფლო მეურნეობა.** დღეს ტფილისიდან მიემგზავრებიან: მიწადმოქმედებისა და მიწად-მოწყობის მთავარ სამმართველოს კავკასიის რწმუნებული კ. ი. შაშკოვსკი, საძოვართა საქმის გამგე ი. კ. მულინი, სასოფლო მეურნეობის უფროსი ინსპექტორი ს. ნ. ტიმოფეევი და მ. ნ. სკიბიცკი. პირველად ისინი მოივლიან ერევნის გუბერნიას, სადაც დაათვალიერებენ მიწად-მოქმედების დეპარტამენტის საცდელ სასოფლო სამეურნეო დაწესებულებებს, შეისწავლიან სასოფლო მეურნეობის საერთო მდგომარეობას და შეამოწმებენ სახაზინო საბალახოების მოწესრიგების საქმეს. შემდეგ ისინი ახალ ბაიაზეთის მაზრიდან დელიჯანსა და ტარსაჩაიაზე გაივლიან, გაემგზავრებიან კარაკლისს (გუმბრის მაზრა) და იქიდან ყარსის ოლქს. აქ გაიცნობენ მესაქონლეობას და მერძეობას. ტფილისს 21 ივლისისთვის დაბრუნდებიან.

✦ ვსწუხვარ გულითა და სულით საკაცობრიო იდეალებით გამსჭვალულისა და თავდადებულის ვარლამ შავდიას უდროოდ გარდაცვალებას. ვიზიარებ მისი მშობლებისა, ნათესავებისა და მეგობრების მწუხარებას. **გ. ლ. შავდია.**

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება ხვალ, საღამოს 8 საათზე, მოხდება. განსახილველია: 1) მოხსენება ქართლის აგრონომის მოქმედების შესახებ, 2) ტფილისში საკოოპერაციო კურსების მოწყობის საკითხი, 3 სოფლის მეურნეთა თათბირის მოსაწვევად წინასწარ მუშაობის დაწყების საკითხი და სხვა.

✦ **ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიას** დღეს კრება ექნება.

✦ **კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტს** დღეს კრება ექმნება. სხვათა შორის, განიხილავს 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტს.

✦ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის** კრება 6 ივლისს მოხდა. განიხილა ხორცის და პურის ნიხრი. კომისიამ მიიღო მხედველობაში, რომ საკლავ საქონლის ფასმა უკანასკნელ ხანს შესამჩნევად დაიწია და გირვანქა ხორცზე შემდეგი ნიხრი დააწესა: ძროხისაზე—13 კ., ნაცვლად წინანდელ 14 კ., ცხვრისაზე—15 კ., ნაცვლად 16 კ. და ბატკნისაზე—17 კ., ნაცვლად 18 კ. კამეჩის ხორცზე ძველი ნიხრი დასტოვა—8 კ. რაც შეეხება პურის ნიხრს, ამის შესახებაც ითათბირა კომისიამ და გამოარკვია, რომ თითო ტომარა ფქვილს ფასი დააკლდა 25—50 კაპ., მაგრამ, რადგანაც ამ დღეებში მოსალოდნელია ფქვილის ფასის შესაჩნევად დაკლება, ამიტომ კომისიამ დაადგინა, პურის ნიხრის შეცვლა რამდენიმე ხნით გადასდოს.

სასწავლებლებში

✦ მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელმა ნება დართო, **თელავის სავაჟო პროგიმნაზიის** ყველა კლასში სწავლის ფულად დააწესონ 100 მან. ნაცვლად ახლანდელ 80 მან.

მწარმოებელი კოოპერაცია ინგლისში

(ზაკის წერილიდან)

სოციალისტური პარტიების და სოციალისმის თეორეტიკოსების შეხედულობამ კოოპერაციის შესახებ სამი ხანა განიცადა. უტოპისტები—ოვენი, ფურიე, ლუი ბლანი, ბიუშე —კოოპერაციას აძლევდნენ უპირველეს მნიშვნელობას; ისინი ჰფიქრობდნენ, რომ კოოპერაცია თავისთავად გარდაჰქმნის კაპიტალისტურ წესწყობილებას. და თუმცა კოოპერაციების გავრცელების ცდამ საფრანგეთსა და ინგლისში ვერავითარი ნაყოფი გამოიღო, მაინც მუშათა პირველმა კონგრესმა პარიზში 1876 წელს განაცხადა: უმთავრესი ცხოველი პრინციპი, რომელსაც უნდა აღორძინოს მუშები, არის ასოციაცია; მუშათა განთავისუფლებას გადასწყვეტს კოოპერატიული ასოციაციაო. მაგრამ მალე დადგა რეაქცია, კოოპერაცია გამოაცხადეს ბურჟუაზიულ დაწესებულებად, რომელიც ხელს უშლის მუშათა თვითცნობიერების გაღვიძებას. 1892 წელს ბერლინის პარტეიტაგმა (კრებამ) დაადგინა, რომ სოციალისტებმა წინააღმდეგობა გაუწიონ კოოპერაციების დაარსებას და ებრძოლონ იმ აზრს, ვითომც კოოპერაციას შეეძლოს რაიმე გავლენა იქონიოს კაპიტალისტურ წარმოების პირობებზე, გააუმჯობესოს მუშათა კლასიური მდგომარეობა, მოაწყოს ან ოდნავად შეამსუბუქოს მუშათა კლასის პოლიტიკური ან პროფესიონალური ბრძოლა. ხოლო მე-XX საუკ. იწყება ახალი ხანა, რომლის მიმართულება გამოიხატა კოპენგაგენის საერთაშორისო კონგრესზე. ეხლა კოოპერაცია აღიარებულია პროლეტარიატის სოციალურ განთავისუფლების **ერთ** ფაქტორთაგანად. „კოოპერატიული მოძრაობა, ამბობს მაგდებურგის პარტეიტაგი, არის მუშათა განსათავისუფლებელი პოლიტიკურ და პროფესიონალურ ბრძოლის მომქმედი დამატება".

მიუხედავად სოციალისტურ აზრის ასეთი რყევისა, მაინც ყოველთვის უმთავრესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული მწარმოებელ კოოპერაციებს. ჯერ კიდევ ინტერნაციონალმა 1866 წ. ჟენევის კონგრესზე განაცხადა: „ჩვენ ვურჩევთ მუშებს უფრო მწარმოებელი კოოპერაციები შეადგინონ, ვიდრე მომხმარებელი. უკანასკნელნი ეხებიან ეხლანდელი ეკონომიური სისტემის მხოლოდ ზედაპირს, მწარმოებელი კოოპერაციები კი—მის ძირითადს საფუძვლებს არღვევენ".

რაკი საკითხი ასეა დაყენებული, საგულისხმიეროა იმის გამოკვლევა, თუ რამდენად ცხოველმყოფელია მწარმოებელი კოოპერაცია. როგორია მისი არსებობის და განვითარების პირობები? რაა საჭირო მათი სიმტკიცისათვის?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ურიგო არ იქნება გავიცნოთ ინგლისის მწარმოებელ კოოპერაციების ცხოვრება, იმ ქვეყნისა, რომელიც სამართლიანად ითვლება ახალი კოოპერაციის სამშობლოდ. უკანასკნელი წლების გამოკვლევამ და პრაქტიკამ ცხადჰყვეს კოოპერაციის დაღუპვის და წარმატების პირობები. საკმაო საწარმოებელი თანხა და ბაზრის უზრუნველი ყოფა-აუცილებელი პირობაა, ურომლისოდ მუშათა ასოციაციებს არ შეუძლია არსებობა. მართალია, წინად დიდი ვნება მოჰქონდა მონაწილეთა უთანხმოებას, მაგრამ დღეს ეს მიზეზი მუშების განვითარებისა და მეტის გამოცდილებისა გამო აღარ არსებობს. დიდად შეუწყო ხელი მწარმოებელი კოოპერაციის განვითარებას მომხმარებელმა ამხანაგობებმა: ისინი აძლევენ მუშათა კოოპერაციებს მზამზარეულს ბაზარს, იძენენ დიდს თანხას და ეხმარებიან ფულით მწარმოებელ კოოპერაციებს. ხშირად კი წარმოება მომხმარებელ საზოგადოებათ ერთ დარგთაგანია, მომხმარებელი საზოგადოება იმავე დროს მწარმოებელიცაა და მისი მუშები იღებენ ქირას საერთო წესით. ამგვარივეა წარმოება, მოწყობილი მომხმარებლების მიერ, რომლებიც ერთდებიან ამ მიზნით (საერთო წისქვილი, ფურნე). ყველა ასეთ შემთხვევაში წარმოება არსებითად კაპიტალისტურია და კოოპერატიულის სახელი იმიტომა აქვს, რომ წარმოების მოგება კაპიტალისტის კი არაა, არამედ შეერთებულის მომხმარებლების. საქმის ვითარებას, რასაკვირველია, სრულებით არა სცვლის ის გარემოება, რომ ხშირად შრომის პირობები შემუშავებულია თანახმად მუშათა პროფესიონალურ კავშირების მიერ შეტანილ წესებისა. კოოპერატიული წარმოების წმინდა ფორმას წარმოადგენენ ის ასოციაციები, სადაც მუშები წარმოების სრული პატრონები არიან, მათ ეკუთვნის საპაიო კაპიტალი და მათივეა მოგება. შემდეგ შერეულ კოოპერაციებს წარმოადგენენ, რომლებშიაც კაპიტალი, მოგება და გამგეობა განაწილებულია მწარმოებლებსა და სხვა წევრებს შორის. აქ მუშები არ არიან სრული პატრონები, ისინი მხოლოდ წარმოების თანამონაწილენი არიან, მაგრამ სრული პატრონები არ არიან არც მომხმარებლები.

ამ კოოპერაციებიდან ინგლისში დღეს დარჩა მხოლოდ ორი—პირველი (კოოპერაცია მომხმარებლებისა, სადაც მუშები არ იღებენ მონაწილეობას კაპიტალსა, მოგებასა და მართვა-გამგეობაში) და მესამე—შერეული კოოპერაცია (კოპარტნერშიპ). წმინდა მუშათა ასოციაცია (მეორე ფორმა) თითქმის მთლად გაჰქრა: საკუთარ საშუალების და განსაზღვრული ბაზრის უქონლობამ აიძულეს ისინი, დაუთმონ ადგილი ისეთს კოოპერაციებს, სადაც წევრებად მუშებთან ერთად მომხმარებლებიც არიან (საზოგადოებანი თუ კერძო პირები), რომლებიც თანხასაც აძლევენ კოოპარაციებს და ბაზარსაც, ამიტომ მონაწილეობას იღებენ მართვაგამგეობასა და მოგებაში.

ამას წინად გამოქვეყნებულ ცნობებით, ინგლისში 1212 წარმოებაა, რომლებიც ეკუთვნის ზემოდასახელებულ ორი ტიპის 1120 კოოპერაციას. ათი წლის განმავლობაში (1900—1905) ამ კოოპერაციების რიცხვმა იმატა 36 პროც. ასევე იმატა (38 პროც.) ამ წარმოებათა მუშების რიცხვმა, ხოლო დამუშავებულ საქონლის ღირებულებამ იმატა 122 პროც. და 1909 წელს ავიდა 240 მილიონ მანეთამდე. პირველი ადგილი წარმოებათა შორის უკავია ტანისამოსის და ფეხსაცმელის წარმოებას, შემდეგ სანოვაგის წარმოებას (წისქვილებს, ფურნეებს).

მრავალი კოოპერაციაა დაარსებული მომხმარებლებისთვის: 2643 კოოპერაცია ეკუთვნის მომხმარებელ საზოგადოებებს, 27—ორს ნარდად მყიდველ კავშირს და 39 -მომხმარებელთა განსაკუთრებულ ორგანიზაციებს. პირდაპირ მწარმოებელთა ინტერესისთვის დაარსებული მუშათა ასოციაცია მხოლოდ 103-ია. უმეტესი წილი ამ უკანასკნელისა და აგრეთვე მომხმარებელ საზოგადოებათა მიერ დაარსებულ კოოპერაციებისა მოწყობილია კოპარტნერშიპის წესით.

(დასასრული იქნება)

პატარა ფელეტონი

გადაგვარებულ კაცის წერილები

ბატონო სახალხოელებს მადლობა შევწირე, რომ თავის გაზეთში ადგილი დამითმეს და ნება მომცეს ჩემი გულის ნადები გავუზიარო ქვეყანას. მაგრამ ახლა არ შემიძლიან საყვედურიც არ ვუთხრა ცოტაოდენი, რადგან ძალმომრეობა იხმარეს ჩემს წინააღმდეგ და მაიძულეს სათაური გამოუცვალო ჩემს წერილებს. ეს არის, მოწყალეო ხელმწიფენო, სიტყვის და სინდისის თავისუფლება? თუ მწადია, სისულელე ვილაპარაკო, ვის რა ნება აქვს ამიკრძალოს? თუ მრწამს, რომ ცრუობა, ორპირობა, გამორჩენა, ძლიერთა ყურადღების დამსახურება საჭიროა, ვინ რატომ ხელი უნდა შემიშალოს?

შენ ხალხს გვიბრიყვებო. გაგონილა? მკითხველებს განა არა აქვთ ტვინი და არ შეუძლიანთ გაარჩიონ თეთრი და შავი, სასარგებლო და სავნებელი? რის მაქნისია სხვისი აპეკუნობა და წინამძღოლობა, პატრონობა და ბატონობა? ვაბრიყვებ და მერე რა არის აქ დასაძრახისი? არც ვმალავ სრულებით, რომ მკითხველების გასაბრიყვებლად ვწერ ჩემს წერილებს. კარგა ხანია მოგახსენეთ, რომ გადამეტებულ ჭკუის მტერი ვარ, დიუძინებელი მტერი. ქართველებს ჭკუა ჰღუპავს და რაც მალე შეუმცირდებათ ჭკუა, მით მალე და ადგებიან სასარგებლო გზას.

შენი წერილები გადაგვარებულ ადამიანის წერილებია და სახელიც სწორედ ასეთი უნდა უწოდოთო. კარგი და პატიოსანი. მე ისა მწყინს, რომ მაიძულეს სათაურის გამოცვლა. თორემ სრულებით არ მეჩოთირება და არც მეუცხოვება გადაგვარებულის წოდება. პირიქით, ვიამაყებ ამით. დიახ, მე გადაგვარებული ვბრძანდები და ვცდილობ, სხვებიც გადავაგვარო, სხვებიც ავაცდინო ქართულ გზას, ქართულ ცხოვრებას, დავავიწყებინო ქართული ენა, ვაგძნობინო ქართველი ეროვნება. ეს ჩემი დანიშნულებაა, ჩემი მოწოდება, ჩემი მისია! გადაგვარებულ კაცის წერილები! საუცხოვოა, ზედგამოჭრილია ჩემს სულსა და გულზე და მკითხველი ერთბაშად მიხვდება, თუ ვინა ვარ და როგორს აზრებს უნდა ეძებდეს ჩემს წერილებში. ვიღაცამ სთქვა: სათაური პირველი საქმე არისო. სავსებით ვეთანხმები და თუ ერთის მხრით საყვედური მოვახსენე სახალხოელებს, მეორეს მხრით მადლობასაც ვეტყვი მონათვლისთვის, ახალის სახელწოდებისთვის.

მაშ, გაუმარჯოს გადაგვარებას, გადაგვარებულებს და ნამეტურ გადამგვარებლებს.

ნუ შეძრწუნდება სული და ნუ დაეწვით გული ჩემს გადაგვარებულს და გადამგვარებელს ერთგულ თანამოძმეებს და ნუ იფიქრებენ, რომ საქართველოში ჩვენი რიცხვი ძლიერ მცირე იყოს. არა! ღვთით კარგა ბლომად ვართ და დღითი დღე მრავლდებით, და თუ ყოველთვის ასე შეემატა ჩვენს მრევლს, ნახავთ, რომ რამდენსამე წლის განმავლობაში მთელი ქართველობა გადაგვარდება, გადაშენდება და მაშინ ნახეთ ჩვენი დღესასწაული, სიხარული, ჩინებითა და ორდნებით დაჯილდოვება, დიდ-დიდი ხარისხების მიღება!

რომ გადაგვარებულნი და გადამგვარებელნი ბევრნი ვართ, ამის დასამტკიცებლად აი ნახეთ თუნდ ქუთაისის საქალაქო დაწყებითი სკოლის მასწავლებლის სიმონ მჭედლიძის მეტად გაბედული, საარაკო და საგმირო საქციელი.

ქუთაისში მასწავლებლებისათვის საზაფხულო კურსები იყო გამართული, კურსებზე ლექციებს უკითხავდნენ მასწავლებლებს სწავლების სხვა და სხვა მეთოდზე და უპირველესად კი არსწავლის და დაიწყების საუკეთესო საშუალების შესახებ. ამ კურსებზე არ ყოფილა მოწვეული ბატონი სიმონი მჭედლოვი (იგივე მჭედლიძე) არც ლექტორად, არც მსმენელად. მაგრამ ის მაინც მოურიდებლად მივიდა კურსების ხელმძღვანელ ინსპექტორთან, მოიპოვა მისი ყურადღება და მიიღო ნებართვა და კურთხევა და წაიკითხა ლექციები ფრიად შესანიშნავი და საგულისხმო. დაუმტკიცა სოფლის და ხალხის მასწავლებლებს, თუ როგორ სისწრაფით შეიძლება რუსულ ენის შესწავლა ქართულ ენის დავიწყებით!

ჩვენი ბრძენი შოვინისტები და ნაციონალისტები მოსვენებას არ გვაძლევენ, რომ სკოლაში ბავშმა ჯერ ქართული ენა ისწავლოს და მერე ქართულ ენის შემწეობით გადავიდეს უცხო ენაზეო. ბატონმა სიმონ მჭედლიძემ კი დღეიდან საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ ეს ყოველივე წყლის ნაყვაა და უსარგებლოდ დროს დაკარგვა. სკოლა, უპირველესად სახალხო სკოლა ჩვენს დედაენას კი არ უნდა უნერგავდეს მოწაფეს, არამედ უნდა ავიწყებინებდეს; სამაგიეროდ ასწავლიდეს უცხო ენას. ეს უძლიერესი საშუალებაა გადაგვარებისთვის. მიიღეთ, ბატონო სიმონ, ჩემი გულითადი სალამი და თანაგრძნობა. იყავით მხნედ და კვლავ გაგვახარეთ თქვენის გადამგვარებლობით. დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლის და თუ ნაცარქექია შოვინისტები აგიყაყანდებიან, სამაგიეროდ უფროსნი და ბატონნი უყურადღებოდ არ დაგტოვებენ!..

ქლიბი.

მუშათა ცხოვრება

პეტერბურგი.

✦ 2 ივლისს ეკონომიურ ნიადაგზე გაიფიცნენ მუშები: ვაკუმ ოლ და ამხ. რძის მრეწველობის ქარხნისა, და აგრეთვე ორლოვსკას ბრინჯაოს ქარხნისა.

✦ 2 ივლისს ელექტრონის განათების 1886 წ. საზოგადოების გაფიფიცულ ზეინკლებს, მიემხრო რემონტის სახელოსნოების 208 მუშა, მათ ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებანი წარადგინეს.

✦ მუშათა პრესისაკენ მიმართულ რეპრესიის წინააღმდეგ გამოცხადებული გაფიცვა-პროტესტი 2 ივლისსაც გაგრძელდა. დილიდანვე გაფიცვები დაიწყო შემდეგ ქარხნებში: „ძველი და ახალი აივაზი". გაიფიცა 1500 მუშა, შტუდერის ხე-ტყის ქარხნის 400 მუშა; მიტინგის შემდეგ მუშები სარევოლიუციო სიმღერებით

ცხოვრება და ხელოვნება

(ჩვენი ახალგაზრდა მწერლები)

ა. ჭუმბაძე.

(დასასრული [*])

V

„მოუკვლელი წყურვილი" [1] სიყვარული გახლავთ; მიჯნური—„შეუპოვარი მხედარია, (რომელიც) განუსაზღვრელ უდაბნოის სივრცეზე ობლად იძვრის. შორის ქვეყნიდან წამოსულს დიდი აქვს სავალი გზა და იგიც მიდის... მიდის შეუსვენებლად" ხოლო სატრფო, სანუკვარი და სალტოლვი საგანი, გრძნობა და ვნება ეს—ის „მაცოცხლებელი ნაკადია (რომელსაც) გრილი ლახვრით გაუპია გავარვარებული სიპის მკერდი და ბროლის გრეხილად დაჰკიდებია წვეტიან ხორხს".

მიდის მგზავრი, წყლის წყურვილი აჩქარებს მის ნაბიჯს, სასოწარკვეთილებით გაიძახის: „ოჰ, მალე, მალე! ერთი წვეთი წყალი და"... მაგრამ იგინი ისევ მიდიან... და „ივლიანო", გვეუბნება ავტორი, „ივლიან, ვით გუშინ, დღეს, ხვალ—ივლიან ამიერიდან უკუნისამდე ობლად, ეულად".

მაშასადამე, ეს საგანი მთელის თავის სიგრძე-სიგანით ისევ გადაუწყვეტელი, ისევ გაურკვეველი და პასუხ-გაუცემელი ჩვენს წინ აღიმართება ტრაგედიულ საკითხად.. სიყვარული „მოუკვლელი წყურვილია" უდაბნოში მოგზაურისა. მაგრამ მიუცილებელი, ფატალურია იგი, ვით მოთხოვნილება უპირველესი. ჩვენ ყველანი მგზავრები ვართ იმ დიდ უდაბნოში, რომელსაც მსოფლიო ჰქვიან და ჩვენი მგზავრობა, ჩვენი მსვლელობა, ამ საბედისწერო გზაზე შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ვხედავთ, გონებისა და ოცნების თვალით მაინც, ცხოველმყოფელ ნაკადს. დაე, ნუ მივაღწევთ მას; დაე, სივრცე ჩვენსა და მას შორის გაგრძელდეს, დაე გაგანიერდეს მანძილი, რომელიც გვაშორებს „მაცოცხლებელ ნაკადს", თუ ის არა გვაქვს თვალის წინ, თუ ის არ შლის და არ ამხნევებს ჩვენს ინსტიქტსა და გრძნობას, ჩვენ არ შეგვიძლია ავასრულოთ ბედისაგან მინაჩენი გზა უდაბნოისა.

ამნაირი გახლავსთ ბ. ქუმბაძის ქმნილება. ყოველნაირად საყურადღებოა იგი: ფრიად ღრმა აზროვანი, მრავალის ფიქრების აღმძვრელი. შესაძლოა ამაში იყოს დამარხული მისი ნაკლულევანებაც: ნამეტანი ინტელექტუალურია, გონება სჭარბობს ამ ნაწარმოებში, ცივი გონება. თითქო ავტორს თვითონ არ განუცდია, თვით არ გადაუდუღებია მისი, ავტორის ქურაში მთელი ეს სურათი დიდებულის ტრაგედიისა, თითქო გონების თვალით წარმოუდგენია იგი, თავის გარეშე დაუდგამს, ვით უცხოს შვილი და მიუყვია ხელი მისი გონებით განსჯისა და გაშუქებისათვის. ეს განთიშება ავტორის გონებისა, ავტორის განცდისა და მისი ბუნებისაგან გადადუღებულისა უკარგავს იმ იდუმალ მთლიანობას, რომელიც ხელოვნების უმაღლესს საფეხურზე მხოლოდ მოიპოვება. მაგრამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი თანდათან პოულობს თავის „მე"-ს სინტეტიურ გამოსახულებას, თანდათან ებმები თავის გონების შემოქმედების ნაყოფში და უკანასკნელი მისი მოთხრობა „ზღვის ქალად" წოდებული იმედს გვიბადებს, რომ, თუ ამ გზით წავიდა, ავტორი სძლევს ნაკლს მისის ნიჭისას, რომელიც ჩვენ შემთხვევითი გვგონია, და ხელოვნებას დააკმაყოფილებს.

ეს იყო მოგახსენეთ და ეხლაც გავიმეორებ, რომ ეს ზედ-მეტი ინტელექტუალიზმი, რომელიც სიმშრალეს გვაგრძნობინებს ხოლმე, შესაძლოა შემთხვევითი იყოს. ქუმბაძე ჩვენში ერთად-ერთი თეორეტიკოსია სიმბოლიზმისა და, როგორც ეგრეთი, ძალიან დიდ ადგილს უთმობს ფილოსოფიურ მსჯელობას, თეორიულ გარკვევას მისგან შექმნილის მხატვრობისას. ჩვენთვის სამწუხარო იქნებოდა, თუ ორგანიული დეფექტები ჰქონოდა ისეთ ნიჭიერ მხატვარს ბუნებისას, რომლის მაგალითები უხვად არის გაბნეული მის ნაწარმოებებში და რომლის ერთს მაგალითს აქვე მოვიყვანთ.

„განცხრომის სურვილით ატორტმანებულ პონტს მწუხრის მშვიდობიანი სიამე თავს დაფარფატებდა. მქრალ ნისლის საფარველში გახვეული წყალი მისი, თითქოს შფოთი და წყრომა სამუდამოდ დავიწყნიაო, ლხენით იზმორებოდა. ოდნავ აძიგძიგებული რგვალი ტალღები, ვით დიდი ხნის უნახავნი, მოსიყვარულე დანი, ნაზის მოჭნილობით ერთმანეთს ეხვეოდნენ და, ლხენის სიჭარბით მოდუნებულნი, ტკბილად სთვლემდნენ. უსაზღვრო სივრცე—უცნობი და დაუნდობელი, თითქოს განგებ მიყუჩებულიყო, ვით საშინელი მტრის ბანაკი, და უცდიდა, ჩასაფრებულ ნადირის სიფრთხილით უცდიდა შესაფერ წუთს, რათა გაორკეცებული რისხვით მოულოდნელად თავს დასხმოდა თვალთმაქცობით მოტყუებულ მსხვერპლს და ერთი შეტევით სამუდამოდ დაემხო, განადგურებინა".

„მიუწდომელი ნების სურვილით დაამებული მომბრუნავი სათუთი ალერსით ლოკავდა სანაპიროების კლდეთ და ოდნავ გასაგონი ჩქუტუნით თითქოს ეუბნებოდა: „შემინდეთ, შემინდეთ, საყვარელნო, თუ წუთიერ გულისწყრომით გატაცებული ხშირად დაუმსახურებელ წყენას გაყენებთ ხოლმეო".

„მოკისკასებული ცის გუმბათიდან კრთომით ჭიატობდნენ შორი-შორს გაზიდულნი, ჩხარი ვარსკვლავნი და უეცარი სიყვარულით ანთებულ თვალებივით კრძალვით ილულებოდნენ. მოუთმენლობის ციმციმით ელოდნენ იგინი ზღვის ზედაპირს ლეჩაქივით გადაკრულ ნისლის აკრებას, რათა გადასარკულს ცივ წყალში უნაკლოდ ჩაეხატათ თავისი სიტურფე და მით ეჭვი და შური აღეძრათ მიჯნურ ზღვის მოღალატე გულში. და აჰა, თითქოს მიუწვდომელმა ისმინა მათი უხმო ვედრება, აღმოსავლეთის მხარეს, იქ, სადაც დაუშრეტელის მძლეობით მარად კაშკაშებს სამსხვერპლო ცეცხლი მსოფლიოს განახლებისა, ცის ძირი ერთბაშად ალაპლაპდა და, უშვებელ ვერცხლის გორგალივით, ნელი ზოზინით ამოგორდა ზღვის გრილი წყალით განბანილი, დამცხრალი მთვარე".

„მისი უვნებო შუქი ზღაპრული მზეთუნახავის ღიმილივით მოეფინა გარძისფერებულ ზღვის სივრცეს და წამს დაჰხია ქადარა ნისლის მქრალი სუდარა.

შიშველი და ქალწულებრივი, უმანკო და უშფოთველი, ვით ახლადგაღვიძებული ჯანსაღი ჩვილი, რხევით აიგრუზა ზღვის მოვერცხლილი ზედაპირი, რომელზედაც ლაღად მოსცურავდა იალაქნ-მოდუნებული პატარა ნავი.

„ვით ყვავილის ახლად-პირნაჩენ ტუჩზე თაფლით დამთვრალ ნაზი პეპელა, ისეთ ტკიცინით ფართხალებდა და თეთრი აფრა და ოდნავი რხევით მიასრიალებდა მსუბუქ ნავს, შიგ მჯდომი—მაღალი და ძალზე გამხდარი ყმაწვილი—ორივე ხელით მჭიდროდ მოჰხვეოდა ისარივით ამართულ ანძას და წყნარი ხმით ღიღინებდა. სიმღერა იგი მქრალი, როგორც ქალწულის სიზმარი, და სევდიანი, ვით შემოდგომის ყვავილთა ჭკნობა, მტკიცნეული ამოძახილი იყო ობოლის სულისა, რომელსაც მხოლოდ გულჩახვეულ ზღვისთვის გაუნდვია თვისი ხვაშიადი და მისგანვე ელის ქირთა კურნებას".

ეს ადგილი მით უფრო მოვიყვანეთ, რომ ჩვენი ლიტერატურა მეტად ღარიბია ზღვის აღწერილობით და მერე ასეთს საუცხოო სურათს ზღვისას იქ თქვენ ვერ მოიპოვით. შეხედეთ, როგორ გაცოცხლებულა ზღვა, როგორი ყურადღება აქვს მის იდუმალ ძალებს მიქცეული; დააკვირდით, რა ენით ნაწერია; აქ თითქმის ყოველი სურათი სიმბოლიურის თვისებისაა, მრავალს სიტყვას სიმბოლოს ადგილი უჭირავს. ეს ენა სანიმუშოა სიმბოლიზმის მიმდევარის მწერლობისა. მე განგებ გავუსვი ხაზი რამოდენიმე სტრიქონს, რათა მიმექცია მკითხველის ყურადღება არა თუ სურათის მშვენიერებისათვის, არამედ მის დასახატავად აღებულის ფერადების ორიგინალობისათვის. „განცხრომის სურვილით ატორტმანებული პონტი", „მწუხრის მშვიდობიანი სიამე", „ლხენით იზმორებოდა" (ზღვა) „ლხენის სიჭარბით მოდუნებულნი) ტალღები) ტკბილად სთვლემდნენ". აქ გაცოცხლებულია, სულჩადგმულია დამშვიდებული და დაწყნარებული ზღვა. მაგრამ არ არის დავიწყებული ის სტიქიონური საბედისწერო ძალებიც, რომლენიც იმალებიან ამ ზედაპირის დაწყნარებულ სანახაობაში. „უსაზღვრო სივრცე—უცნობი და დაუნდობელი თითქოს განგებ მიყუჩებულიყო", როგორც ჰხედავთ, ეს სიმშვიდის სამოსელში გახვეული სივრცე „უცნობია და დაუნდობელი" ამგვარი საიდუმლოების გამორკვევის სურვილით არის ის ფრაზაც, რომელიც, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანადაც გვეჩვენება: „მიუწდომელი ნების სურვილით დაამებული მომბრუნავი სათუთი ალერსით ლოკავდა სანაპიროების კლდეთ". ეს „მიუწდომელი ნების სურვილი" შოპენჰაუერის ცისა და ქვეყნის გამგე „ნებაა", რომელიც ამოქმედებს სულიერსა და უსულოს, რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა".

რა მშვენიერი ხერხია ნახმარი ვარსკვლავთა ციმციმის გასასურათებლად: იგინი „უეცარ სიყვარულით ანთებულ თვალებივით კრძალვით ილულებოდნენ". თითქო მათი

---

[*] იხ. „სახ. გაზ." № 937.

[1] იხ. „სახალხო გაზეთი" 1913 წ. № 917.

ეროვნული

ქუჩაში გამოვიდნენ. მალე პოლიცია გამოჩნდა, მაგრამ მუშებმა დაშლა მოასწრეს. შულმანის ქარხანაში 400 კაცი გაიფიცა. გემების ქარხნებში „ოხტაში" 200 კაცია გაფიცული. ოლიდნერს ქარხანაში—200, ნობელის სამექანიკო ქარხანაში—1,000, სტრუკის ქარხანაში—450, პუზირევის ავტომობილების ქარხანაში—200, მუშაობა შესწყვიტეს იაკოვლევისა და რეიპშტეინის სტამბებში 400 კაცმა. საამკინძავ „შრომის" არტელის მუშებმა ნახევარი დღის გაფიცვა გამოაცხადეს და დაადგინეს, რომ ნახევარი დღის სამუშაო ფასი გაფიცულ ლიტოგრაფების სასარგებლოდ გადაიდოს. გაიფიცა 80 კაცი ივანოვის ხრომო-ლიტოგრაფიაში და აგრეთვე მთელ რიცხვ წვრილ სახელოსნოებში. ყველა გაფიცვები მიტინგებით ხდებოდა, მიტინგებზე გამოტანილი იყო პროტესტები მუშათა პრესის რეპრესიების წინააღმდეგ.

✦ 3 ივლისს მუშები გაიფიცნენ ქარხნებში: ნევის გემების ასაშენებელში—3,207, ერიქსონისაში—1000, ლანგეზიპენისაში — 300, მოსკოვის „ზასტავოს" იქით მდებარე სიმენსისა და გალსკის ქარხანაში—2000, არტურ კოპელისაში—1,600. ნასადილევს გაიფიცნენ რეჩკინის ქარხანაში 2000 მუშა. მუშებმა აქ მიტინგი გამართეს, პროტესტი გამოაცხადეს მუშათა პრესის რეპრესიების წინააღმდეგ და შემდეგ სარევოლიუციო სიმღერებით ქუჩაში გამოვიდნენ. მათ მოეგება ცხენოსანი და ქვეითი პოლიციელების ძლიერი რაზმი. პოლიციელმა ოფიცერმა მოითხოვა, რომ მათ სიმღერები შეეწყვიტათ, თანაც დაემუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში გესვრიანო.

✦ 2 ივლისს გაანთავისუფლეს მუშების წარმომადგენლები ტკაჩოვი, კოხლოვი, ლიაგუშევიჩი, და ალილუევი, რომელნიც გაფიცვების გამო ამას წინად შეიპყრეს.

✦ **ლოძში** 164 ქარხანაში გაფიცულია 55,094 მუშა. 115 ქარხანაში მუშაობა დაიწყო 8,665 მუშამ.

✦ **პეტერბურგი.** 2 ივლისს ვასილიევის კუნძულზე, მე 11 ხაზზე სადაც ახალს სახლს № 46 აშენებენ არტელის სტაროსტამ ტიტ გრიშკოვეცმა დაითხოვა ხუთი მუშა; მათზე მან ეჭვი შეიტანა, რომ ისინი მუშათა შორის აგიტაციას ეწევიან ფასის მომატების შესახებ. 9 ივლისს დათხოვნილი მუშები დაუდარაჯდნენ სტაროსტას, ვასილიევის კუნძულს მეხუთე ხაზზე სახლ. № 68 ალაყაფის კარებთან თავს დაესხნენ მას და ჯოხებით ცემა დაუწყეს. გრიშკოვეცმა რევოლვერი იძრო და მუშებს სროლა დაუწყო. მუშები გაიქცნენ. ღამით თავთავიანთ ბინებზე ორი მუშა შეიპყრეს.

სინამდვილის ფარგლებში

„თანამედროვე ქვეყნის" მე-9 ნომერში ბ. დამსწრემ წერილი მოათავსა სათაურით: „წვრილ კრედიტის წარმომადგენელთა კრება ქუთაისში". რაკი აღნიშნავს წვრილი კრედიტის დაწესებულებათა კავშირის დაარსების საჭიროებას, ბ. დამსწრე, სხვათა შორის, ამბობს: „საერთოდ ჩვენ კოოპერატივებში ნაკლებადაა დაცული ყველა ის უფლებანი, რომელნიც მინიჭებული აქვთ მათ მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდების ძალით და ამით აიხსნება მათდამი გამეფებული „აპეკაო". შემდეგ მოგვითხრობს, რომ წარმომადგენელთა საჭირო რიცხვი არ დაესწრო კრებასო; იგი ამბობს: „მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ მდგომარეობა არა ნორმალურია. როგორც წინანდელ კრებაზე, ისე ამ კრებაზე, ჩვენ გვესმოდა ჩივილი იმაზე, რომ ინსპექტორები პირდაპირ, თუ არ პირდაპირ, უშლიან ხელს ამხანაგობებს კრებაზე წარმომადგენლის გამოგზავნაზე. ამ საქმეში განსაკუთრებით უსახელებია თავი გურიის რაიონის ინსპექტორს. კრებაზე ზოგიერთი რწმუნებულები თავის აღშფოთებას ვერ მალავდნენ იმ გარემოების გამო, რომ ინსპექტორები გამგეობის წევრთა არჩევნებზე „გავლენას" ახდენენ, სახეში ჰქონდათ ბ-ნი ჯაფარიძის საქციელიო". კიდევ ქვემოდ: „ვინ მისცა ნება ინსპექტორს საზოგადოების არჩეული კაცები თავისი პირადი განკარგულებით გადააყენოს და სხვა".

რასაკვირველია, ჩვენ ამ შემთხვევაში ინსპექტორების დაცვას ვერ ვიკისრებთ: თუ საჭიროება მოითხოვს, თითონ იგინი გასცემენ პასუხს. ნებას ვაძლევ ჩემს თავს მხოლოდ საკითხის ერთ მხარეს შევეხო. როგორც გურიის რაიონის ერთი ამხანაგობის გამგეობის წევრი და რწმუნებულადაც არჩეული, გასულ წელს დავესწარი კრებას ქუთაისში. უეჭველია, ბ. დამსწრეს კარგად ახსოვს, რომ მაშინ კრების დიდმა უმრავლესობამ ნაადრევად სცნო კოოპერატივების კავშირის დაარსება. მოტივებად მოჰყავდათ ის გარემოება, რომ ჩვენში საკრედიტო ამხანაგობები ახალი საქმეა, უმეტეს შემთხვევაში ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული და, ვაი, თუ კავშირმა სარგებლობის მაგიერ ზიანი მოგვიტანოსო. ჯერ-ჯერობით უფრო ძველმა ხეირიანად დაყენებულმა ამხანაგობებმა მიიღოს კავშირში მონაწილეობა და სხვ. აი, სწორედ ეს გარემოება უნდა ჩაითვალოს იმის უმთავრეს მიზეზად, თუ უკანასკნელ კრებაზე გურიიდან რწმუნებულების საკმაო რიცხვი ვერ დაესწრო და არა ის, თითქო ინსპექტორს აეკრძალოს ჩვენთვის კრებაზე დასწრება. მართალია, სავალდებულოდ ჩვენთვის არ გაუხდია კრებაზე დასწრება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არც აუკრძალავს. მაშასადამე, ასეთი საყვედური გურიის ინსპექტორის მიმართ უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება ინსპექტორების მხრით გამგეობის წევრების არჩევნებზე „გავლენას", ჩვენში ასეთი შემთხვევა არ ყოფილა.

მაგრამ ვთქვათ, რომელიმე გამგეობის წევრმა რაიმე ბოროტება ჩაიდინა, რომელიც დაუყონებლივ შესაფერ ღონისძიების მიღებას მოითხოვს, ნუ თუ ამ შემთხვევაში ინსპექტორმა უნდა უცადოს, სანამ საზოგადო კრებას არ მოიწვევენ, რომელიც სხვადასხვა სოფელშია გაფანტული? ან, ვთქვათ, ინსპექტორმა ამ შემთხვევაში გაუგებარ ამხანაგობას აუხსნა ასეთი წევრის დანაშაული და მოითხოვა გადაყენება,—განა ასეთი საქციელი დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს ინსპექტორს? ბატონებო, ვიმეორებთ, ჩვენი საკრედიტო ამხანაგობების უმრავლესობა (სახეში გამონაკლისი არა გვაქვს) ვერ არიან პრაქტიკულ სამოქმედოდ მომზადებულნი, ჯერ შორს არის იმ სინამდვილემდე, რომელიც ბ.ბ. დამსწრეებს იდეალურად წარმოუდგენიათ. უეჭველია, საქმის სინამდვილე ადგილობრივ ინსპექტორებს უფრო გათვალისწინებული აქვთ და მათ დიდი სარგებლობის მოტანაც შეუძლიათ ამხანაგობებისთვის, თუ კი ენერგიულსა და გულწრფელ სამსახურს არ დაიშურებენ. საკრედიტო ამხანაგობების „სისუსტის" მიზეზი ბევრნაირია. ერთი ამ მიზეზთაგანი, თუ გნებავთ, თვით ჩვენ, გამგეობის წევრები ვართ, უფრო კი თვითონ ამხანაგობა. მოვიყვან უბრალო მაგალითს. მოდის მეზობელი და წევრად ჩაწერას თხოულობს, სწორედ მაშინ, როცა მას ფული დასჭირებია და თან კითხვას გვაძლევს: როცა აქედან გატანილ ფულს დავაბრუნებ, ხომ შეიძლება ამომრიცხოთო? ან თუ რომელიმე წევრმა გატანილი სესხი ძალა-უნებურად დააბრუნა, ის ამხანაგობიდან გამორიცხვას მოითხოვს. მიზეზი?—სესხის გადახდევინება გახლავს. საზოგადოდ ჩვენი წევრები პირადი და არა საზოგადო სარგებლობის თვალსაზრისით აფასებენ ამ სიმპატიურ დაწესებულების და ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ დაწესებულების ნამდვილი მიზანი არა აქვთ ჯეროვნად შეგნებული. ამიტომაც იმისი ტრაბახი, რომ „ჩვენი ამხანაგობა მშვენივრადაა დაყენებულიო" თავისთავის მოტყუებაა, მეტი რომ არ ვთქვათ. საკრედიტო ამხანაგობები საფუძვლად უნდა დაედვას საერთო კავშირს და თუ ეს საფუძველი სუსტი გამოდგა, შესაძლოა ზედ აშენებული შენობაც დაინგრეს. თორემ ვინ არ იცის, რომ კავშირის დაარსება დიდი საქმეა. ამიტომ, დე, ჯერ-ჯერობით ისეთმა ამხანაგობებმა დაარსონ კავშირი, რომელნიც ამისთვის შესაფერად მომზადებულებად სცნობენ თავს. ჩვენც ვეცდებით თანდათანობით შევუერდეთ მათ.

ჯურუყვეთის (გურია) საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის წევრი—რწმუნებული **ი. გორდელაძე.**

გაჭირვება უწყლობისა გამო

ვერაზე, პირველ პეტროვის შესახვევში, პადგორნი ქუჩაზე და მთლად გაყოლება, სადაც ეს ქუჩები დაყოფილი არ არის, საშინელი უწყლობაა. ამ ვებერთელა უბნის მცხოვრებთ ორი წყარო აქვთ და მითი საზრდოობენ. აპრილსა და მაისში, სანამ წვიმები მოდიოდა, როგორც არის, იოლას მიდიან, მაგრამ ღმერთმა დაიფაროთ ივნისსა და ივლისში ამ თვეებში დააჭერს თუ არა სიცხე, წყალი ნახევრამდე შრება და ვედრის ავსებას საათის მეოთხედი სჭირდება. მოიყრიან თავს ორმოც სულამდე ქალი და კაცი, უჭირავთ ხელში ვედროები, უცდიან ჯერს. მოთმინებიდან გამოსულნი ხშირად დაერევიან ხოლმე ერთმანეთს: „არა ჩემი ჯერია, არა, ჩემიო" და არის ერთი ორონტრიალი. მაგრამ ასეთს გარემოებას არავინ აქცევს ყურადღებას.

ამ ერთი წლის წინად ქალაქის თვითმართველობამ გამოიყვანა წყალი ბელინსკის ქუჩის თავში და ისე მაღლა აიყვანა, რომ წყალი ვერ ამოდის! თუნდაც მოვიდეს, სრულიად უსარგებლოა, რადგანაც ონკანი მეტად უხერხულ ალაგას არის.

ქალაქის თვითმართველობამ ეს ონკანი სხვის ეზოში მოათავსა შემდეგის პირობით: მამულის პატრონმა წყალი თვითონ უნდა ჰყიდოს ვედრო ორ კაპეიკად და ანგარიში ჩააბაროს ქალაქის თვითმართველობას. მერე რა გამოვიდა?! როგორც არი მივდივართ ხელში ვედროებით. გამოდის სახლის პატრონი და ეუბნება „წყალი მინდა". „არ მოდის". „როდის მოვა?!" „ან ამაღამ 11 საათზე ან დილის 6 საათზე." მაგრამ ეს ცარიელი სიტყვებია, წყალი არასოდეს არ მოდის, სახლის პატრონი კი სულ ელის და ელის!..

საკვირველია! ნუ თუ არ იცოდა ქალაქის თვითმართველობამ, რომ ამ ალაგას წყალი არ ამოვიდოდა? რისთვის დაუწყეს ამდენი უამრავი მილები? რად გადაჰყარეს გამხმარ-გახრიოკებულ ქუჩაზე ამოდენა ფული?!

ვთხოვთ, ვისაც-კი გული შესტკივა ღარიბი ხალხისათვის, ყურადღება მოგვაქციონ, თორემ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა შეუძლებელია. განა არ უნდა დაეხმაროთ იმ ხალხს, რომელიც ხშირად გაჭირვებისა გამო ვედრო წყალში აბაზს აძლევს, ოღონდ კი იშოვოს?!

ნიკოლოზი.

მოწერილი ამბები

ნაგვაზოუს საზოგადოება. (სამეგრელო) ერთი წლის წინად დაბა ნოღალევში დაარსდა უმაღლესი ტიპის პირველდაწყებითი სასწავლებელი, და წელს უკვე შენობის აგებას შეუდგნენ. საზოგადოდ მიღებულია: როდესაც რაიმე საზოგადოების ხარჯზე სადმე დაწესებულება არსდება, თვით საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თანახმა უნდა იყვეს და საქმის მწარმოებელნიც საზოგადოების მიერ უნდა იყვნენ არჩეულნი. თუ სკოლის აგება, საზოგადოების უმრავლესობას არა სურს, ძალდატანების უფლება არავის აქვს. ჩვენში კი ყოველივე უკუღმართად ხდება და აი ამ უკუღმართობაზე მსურს მივაქციო დღეს მკითხველის ყურადღება.

ხსენებული სკოლა, როგორც გამოირკვა, სამ საზოგადოებას უნდა აეშენებია: მარტვილისა, ნახუნოუსა და ნაგვაზოუსა. რასაკვირველია, ვინც ფულს იხდის, მან ისიც უნდა იცოდეს თუ რად? პირობა უნდა ყოფილიყო დაწერილი, ხელი უნდა მოეწერა ყველას, თუ არა და სიტყვიერი თანხმობა მაინც უნდა ყოფილიყო. არ ვიცი რა მოხდა მარტვილისა და ნახუნოუს საზოგადოებაში; ვიტყვი მხოლოდ ნაგვაზოუს საზოგადოებაზე. ამ საზოგადოებაში შედიან შემდეგი სოფლები: ნაგვაზოუ, ხუნწი (ზედა-ხუნწი, ქვედა-ხუნწი და გაღმა-ხუნწი) სუხჩე და გორდი.

გასულ გაზაფხულის პირზე ამ საზოგადოებაში მოულოდნელად გაჩნდნენ ფულის ამკრებნი ჩაფრებისა და „ურიადნიკის" მეთაურობით. ხალხი ძრწოლით შეჰყურებდა მათგან რბევას. არავინ იცოდა, თუ რად კრებდნენ ფულს. ვინც რაიმე სიტყვის თქმას გაბედავდა, მას უღვთოდ სცემდნენ ჩაფრები და უფრო კი გამხეცებული „ურიადნიკი". ზოგიერთი სიკვდილზე მიაყენეს. ხალხი, რასაკვირველია, ასე უცებ ფულს სად იშოვნიდა და სამაგიეროდ ნივთები წაიღეს. ზოგიერთს უკანასკნელი ლეიბი და საბანი წაართვეს. ასეთი უბედურება ხალხს არც 1905 წელს დასდგომია.

დაწყნარდა სოფელი; ხალხმა ყოველივე გაიგო და დაადგა შემდეგ გადაწყვეტილებას: ნოღალევის სკოლა არა გვსურს, რადგან ჩვენთვის ნოღალევის სკოლა არ არის ხელსაყრელი, ხონი უფრო მისაწვდომია ჩვენთვის, და ფულს ამ დროს, როდესაც სიმინდის მარცვალ-მარცვალ ყიდვა გვიხდება, ვერ გადავიხდითო.

ამოირჩიეს რწმუნებულები, გაუგზავნეს მთავრობას. ვინ იცის რაჰქნეს ამორჩეულებმა?

გავიდა რამდენიმე თვე. ხალხი მოლოდინში იყო, თუ რა მოხდებოდა. და აი, 23 ივნის სოფლის სამმართველოში მოხდა მთელი საზოგადოების კრება, იყვნენ მაზრის უფროსის თანაშემწე და ადგილობრივი ბოქაული. მაზრის უფროსის თანაშემწემ ტკბილად აუხსნა ხალხს ყოველივე, მაგრამ ამაოდ; ყველა ერთხმად გაიძახოდა: არ გვინდა, არ შეგვიძლია, თუნდ ყველა ციხეში ჩაგვსვითო. რომ არაფერი გამოვიდა, ბოქაული გაბრაზდა, და როდესაც ერთმა გაახსენა, თქვენმა ჩაფრებმა აგვაწიოკესო, პასუხად მიიღო: უარესს მოელოდეთ, თუ ფული არ გადაგიხდიათო. ამ რიგად დაიშალა ხალხი. კრებას არავითარი ცვლილება არ შეუქმნია. მდგომარეობა საშინლად გამოურკვეველია; თუ ხალხი მეორედ და მესამედ კიდევ დაარბიეს (ფული ნაწილ-ნაწილად უნდა გადახდილიყო) და ყოველთვის ნივთები წაიღეს, ხალხს არაფერი დარჩება და სკოლა რად უნდა?! თუ არა და, ფერხდება სკოლის აგების საქმე. ვინ იცის რა მიმართულებას მიიღებს შექმნილი მდგომარეობა; მე კი ჩემის შეხედულობით, საქმის ამრიგად დახლართავს, ინიციატორთა სრულ უტაქტობას ვაწერ. მთელ საზოგადოებაში ორიოდ შემთხვევით გასუქებულმა თანხმობა განაცხადა და იმათ დაეყრდნენ. მთელ საზოგადოებას რაღა უყვეს? ნუთუ იგი მათთვის არ არსებობდა?..

დასასრულ მივმართავ ნოღალევის ინტელიგენციას: რად მოხდა ასე, რომ კულტურულ დაწესებულების დასაარსებლად, სრულიად არა კულტურულ საშუალებას მიმართეს? სად იყავით მაშინ, როდესაც დ. გ—ძესა და სხვებს სასიკვდილოდ სცემეს? რად არ ამოიღეთ ხმა? რა სკოლა უნდა იქნეს ეს სკოლა, რომლის აშენებისთვის ხალხი დაარბიეს და ააწიოკეს? რად გინდათ სასწავლებელი, თუ ხალხს მის სიძულვილის მეტი არა ექნება-რა? ნუ იფიქრებთ, თითქო წინააღმდეგი ვიყო სკოლის აგებისა, პირ-იქით დიდი მოხარული ვარ და მსურს საქმე რამენაირად გამოკეთდეს და შენობის საქმე არ შეფერხდეს მაგრამ გულის ამრევ ფაქტებს მაინც ვერსად გავექცევით. იმედი გვაქვს თქვენც ამოიღებთ ხმას და საქმეს ცოტათი მაინც ნათელს მოჰფენთ. **ხუნწელი.**

ახალციხე. არა ერთხელ დაწერილა გაზეთებში, რომ რამდენიმე წელიწადია რაბათის ღარიბ-ღატაკი ხალხი დიდად შეწუხებულია სასმელი წყლის უქონლობით, რადგანაც ერთად-ერთი მიქელ წმინდის ძველი წყალსადენი სრულიად გაფუჭდა და მისი აღდგენა და შეკეთება ღარიბი მცხოვრებლებისათვის ყოვლად შეუძლებელი დარჩა, რადგან ერთობ დიდძალს ფულს თხოულობდა მისი შეკეთება. ბევრჯელ უმაღლეს მთავრობასაც მიმართეს, დახმარება აღმოეჩინა წყლის გამოსადენად, მაგრამ ყოველთვის უარი მიიღეს. ახლა, როგორც გავიგეთ, შეძლებულს ქველმოქმედს ზუბალაშვილს ჩასმენია რაბათელების გლოვა-ტირილი და გადაუწყვეტია იმ წყალსადენის შეკეთება და სამუდამოდ წყლის გამოყვანა. აზრად ისიცა ჰქონია, რომ რაბათის ღატაკი ხალხის შვილებს გაუხსნას პირველდაწყებითი ქართული სასწავლებელი, რაც ყველასათვის დიდად სასიამოვნო ამბავს შეადგენს. ვუსურვებთ კეთილ ადამიანს თავის სურვილის მოკლე ხანში განხორციელებასა და უწინარეს კი დღეგრძელობასა ჩვენდა სასიქადულოდ და მისდა სასიამოვნოდ.

მესხი კ. გვარამაძე.

რუსეთი

პროფესორის დაჭრა.

კისლოვოდსკის კურზალში ვახშმობდა სამს მანდილოსანთან ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ო. ბრანდტი. ვახშმის შემდეგ პროფესორმა 200 მან. ამოიღო, რაც ბოროტ-გამზრახველთ შეამჩნიეს თურმე. კურზალიდან გამოსვლისას პროფესორს მანდილოსნების ეტლით გაცილება უნდოდა, მაგრამ ეტლი ბოროტ-გამზრახველთ გაუტაცნიათ. პროფესორი ქალებს ფეხით გასდევნებია. შინ დაბრუნებისას პროფესორს თავს დასხმიან ბოროტ-გამზრახველნი, წაუქცევიათ და ყელში ხელი წაუჭერიათ. პროფესორი ხელიდან გასხლეტიათ, დაურტყამს ერთი ბოროტ-გამზრახველისთვის და გაქცეულა. ბოროტ-გამზრახველებმა სროლა ასტეხეს და დასჭრეს პროფესორი გულში, ფეხსა და საფეთქელზე.

სხვა და სხვა ამბავი

რუსეთის მონასტრებში. მაიკოპის ახლოს, მიხეილის მონასტერში ამას წინად ბერები გაიფიცნენ. არ ვიცით რაში გამოხატა მათი გაფიცვა, ეს კია, რომ ამის შედეგი მონასტრის გამგის არხიმანდრიტის ამბროსის გადაყენება იყო. იმის ადგილას დანიშნეს არხიმანდრიტი ფოტი.

მაგრამ ამან ბერები არ დააკმაყოფილა, და როგორც „უტრო როსიი" გადმოგვცემს ბერებმა საეპარქიო ყოვლად უსამღვდელოესობას განუცხადეს, რომ ფოტის დანიშვნით მონასტრის ცხოვრება ნორმალურ მდგომარეობას ვერ მიიღებს, რადგანაც იგი ამბროსის პირადი მეგობარია და მომხრეც. ბერები აგრეთვე იმასაც ატყობინებდნენ, რომ ფოტი უსწავლელია და თავისი ფიზიკური ძალის ხმარება უყვარსო. აგვისტოში მან 70 წლის ბერსა სცემა და მორჩილს ივანე ჟუკს ჯოხით თავი გაუტეხა, ჯოხითვე სცემა ცამეტის წლის ბიჭს ალექსანდრესაო. რადგანაც ბერებში მღელვარება არა სცხრებოდა, ამიტომ ეპარქიის გამგის განკარგულებით მონასტრის საბჭოს არჩევნებზე დასასწრებლად გაიგზავნა მაიკოპის დეკანოზი სოკრატი. მისი ხელმძღვანელობით ბერებმა ახალი საბჭო აირჩიეს. სხვათა შორის საბჭოში არჩეულ იქნა ბერმონოზანი პეტრე, რომლის მოღვაწეობაშიც ასეთი ფაქტი მოიპოვება: პოლიციის ურიადნიკმა ერთხელ ბერს პეტრეს მოასწრო, როდესაც იგი ქალთან ლაღობდა და დაუწყო მას მხილება. ამის გამო ბერი მივარდა მას და ჯოხით ცხვირი გაუტეხა ამ საქმის ჩასაჩუმებლად მონასტერის ძმობამ ურიადნიკს 100 მან. მისცა.

„ოტკლიკ. კავკაზ." სიტყვით ჩრდილო კავკასიის დანარჩენი მონასტრებიც არ ჩამოუვარდება ზნეობაში მაიკოპის მიხეილის მონასტერს. მაგალითად, ყუბანის ოლქის ვოსკრესენსკის მონასტერში დამრიგებლად (настоятель) არის სტავროპოლის საეპარქიო სამთლის ეკონომად ნამყოფი ლეონიდი, რომელიც სამართალში იყო მიცემული მონასტრის 400 დესეტინა მიწის იჯარით გაცემის დროს „პოდლოგების" მოხდენისათვის.

ყაზანის მონასტრის გამგემ იგნატიმ მთავარს მუშტით სცემა, რის

ციმციმის აზრი და საფუძველი მოუნახავს ავტორს, როცა გვეუბნება, რომ იგი „მოუთმენლობის" ციმციმია; რომ იგინი იმიტომ ციმციმობენ, რომ ელიან „ზღვის ზედაპირს ლეჩაქივით გადაკრულ ნისლის აკრებას, რათა გადასარკულს ცივ წყალში უნაკლოდ ჩაეხატათ თავისი სიტურფე" და სხვ.

ამგვარი სურათებით, ამგვარი პოეტური, ხელოვნური ხერხით მრავლად არის მოფენილი ეს მშვენიერი ეტიუდი. მეშინია, თავი მოვაწყინო მკითხველებს, თორემ გავამრავლებდი ამონაწერებს ბუნების სურათებისას, რომელიც ბ. ქუმბაძის მხატვრულ ნიჭს უეჭველსა ჰყოფდნენ, მოვსწერდი მის მშვენიერ სურათს ბიძინას ლეკურისას, რომელიც მოხდენილობასთან ერთად, ქუმბაძის მანერის კარგი ნიმუშია; ქუმბაძის ინტელექტუალიზმი აქაც თავს იჩენს. იგი უფრო ლეკურის პლასტიურ გარეგან სურათს განაყენებს და ისე დაგვიხატავს მას; ხოლო ეს ხელს არ უშლის მას ამ ცეკვის არსებითი თვისებანი თვალწინ გადაგვიშალოს, კალმის ორიოდე მოსმით გვამცნოს, რომ ამ ცეკვის „მატყვევებელი მოძრაობის ყოველივე შექნილობა და სიმკვეთრე, კერპად დასახული სიყვარულის გარ შემო თავდავიწყებული, ფრთა-შესხმული ლტოლვა ტრიალი და ღვდელ-მოქმედება მხოლოდ ერთის რასმე აქ არა ეძებდა—სიცოცხლის მძლავრი ინსტინქტის ძახილს და მის უხმო მონებას". ორიოდე სიტყვით შეგვასმენიებს, თუ რა განუწყვეტელი ძაფით არის დაკავშირებული ეს ცეკვა, როგორც ხელოვნებისერთი დარგი, ჩვენის ქვეყნის ბუნებასთან, ისე-როგორც ჩვენის ერის ყოფა-ცხოვრება და ფსიხოლოგია. რომ მაში იშლება „უმწიკვლო სრულყოფით" „შვენებით აღსავსე პლასტიკა **ვნებისაგან ამბოხებული ტანისა**". მაში იხატება: „ბუმბერაზ მთათა ამაყი მიმზიდველობა; ხელშეუხებელი, მქრალი სინაზე და მოქნილობა მათ წვერვალებზე თავისუფლად მოსრიალე ღრუბელთა; ანჩხლი, მოუსვენარი სრბოლა ვერცხლებრ მოკისკარე ნაკადთა და, უმეტეს, საზღვარ-დაუდებელი სილაღე. და შეუპოვარი ლტოლვილება უტეხს ტყეში დასაწყვილებლად გამოსული ტან-თასმა ვეფხვთა-ყველა ის, რაც ჯოჯოხეთური დაუხსნელი გადაკვანძვით ჩასახულა ამ შესანიშნავს ცეკვაში".

ნუღარავინ დაგვემდურება, თუ ზემოყვანილ ნიმუშთა მხატვარს ასე ადვილად ვერ მივაკუთნებთ ნიჭის სიძაბუნეს. ვერ მოგვიხერხებია შევსწამოთ არსებითი ნაკლი ვერც იმ კალამს, რომელმაც ისეთი მოხდენილი ანალიზი გაუკეთა სუსანასა და ბიძინას გრძნობის („უფსკრულში") და „სიძვისა" და „მიჯნურობის" დიდი ზღვარი ხელოვნურად დაგვიყენა თვალ წინ; არ გვესიამოვნებოდა სწორედ კოჭლი ნიჭი გამოჰყოლოდეს ისეთს მწერალს, რომელსაც შეუქმნია თავისებური კილო მწერლობისა, რაიცა იშვიათია ქართულს მწერლობაში, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ისეთი დიდებული მწერალიც კი, როგორც ალექსანდრე ყაზბეგია, ვერ ჰქმნის ენას (გარეგანი მხარე მაქვს სახეში), რომელიც შეესაბამებოდეს, ეკადრებოდეს ჩარჩოდ მის მშვენიერ, აღმტაცებელ წერის ხასიათს, და მისი მხატვრობის არსებით თვისებათა გამომხატველი იყოს. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება წარსული საუკუნის მიწურულის მწერლობის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი, ცნობილი დ. კლდიაშვილი, მაგრამ ამის შესახებ აქ ლაპარაკს ვსწყვეტთ და ვეცდებით ცალკე თავი ვუძღვნით ჩვენის ახალის მწერლობის სტილს, ვინაიდან იგი ფრიად საყურადღებო საგანია ჩვენს მწერლობაში, ვინაიდან ყოველ მათგანს (შანშიაშვილს, გრიშაშვილს და სხვა) აქვს თავისი განსაკუთრებული სახე და, ერთად კი, ჩვენმა ახალგაზდა მწერლებმა შექმნეს ახალი კილო, ახალი სტილი მწერლობისა. სტილი და კილო ნეორომანტიულის, სიმბოლიურის ლიტერატურის დამახასიათებელი.

ბ. ქუმბაძეს და, მასთან ერთად, ყველა ჩვენს ახალგაზდა მწერლებს ვუმეორებთ იმას, რაც არა ერთხელ გვითქვამს თითქმის ყველა ჩვენის მწერლებისთვის მათი მოღვაწეობის დაწყების ხანაში: ვურჩევთ და ვაფრთხილებთ, რომ დიდი შრომა, დიდი მუშაობაა საჭირო ნიჭის დამკვიდრებისა და მისი განვითარებისათვის. ჭეშმარიტებაა ის, რომ მწერლობა სტატისტიკურის საზომით არ განიზომება და ნიჭი მწერლისა განიზომება და აიწონება არა იმით, თუ ვინ რამდენი დასწერა. მაგრამ ეჭვი არაა, რომ მწერალმა სიკვდილამდის კალამი ხელიდან არ უნდა გააგდოს და ეცადოს მისი გრძნობებისა და ფიქრების, მისი მსოფლიო შეხედულების მხატვრულად განსახულებას. იგი უნდა წლიდან-წლამდე, მრავალი წლის განმავლობაში ებაასოს მკითხველს, მიაჩვიოს მისი წერის კილოს, მანერას, მისი ნიჭის თავისებურობა შეაგუებინოს და შეათვისებინოს: რამდენიმე თაობას უნდა წარუდგინოს მისი ხელოვნურის ნიჭის ნაყოფი, რამდენიმე თაობის სამსჯავროს წინაშე უნდა გადაშალოს ფურცლები, სადაც აღიბეჭდა განგებისგან მისდამი მინიჭებული მხატვრული შემოქმედება. მრავალის წლების განმავლობაში რამდენიმე თაობა უნდა ჰიპნოტიურად მოხიბლოს მისის მუზის ნაგალობევით, რათა ნამდვილის მწერლის სახელი მოიპოვოს. ამას თხოულობს არა მარტო თავმოყვარეობა და სახელის სიყვარული მწერლისა, არამედ ადამიანის ყოველგვარი მოქმედების ნაყოფიერება სისტემატიურ მეცადინეობაზე არის დამყარებული. სხვა რად გნებავთ, აბა აიღეთ, თვით მძლეთამძლე სიყვარული, ეს ფატალური უცნაური, თავბრუდამხვევი გრძნობა. არა ყოველთვის იფეთქებს იგი ორ სქესთა პირველ შეხვედრისთანავე; შეიძლება ხშირად პირველსავე დანახვისთანავე გაიბას უხილავი ქსელი სიმპატიისა, მაგრამ დრო უნდა და შემთხვევა, „მიჯნურობა" კარგი ხნისა, რომ ეს საიდუმლო ტოკი თანაგრძნობისა ნამდვილ გაუწყვეტელ ჯაჭვად გარდაიქცეს; უმეტეს შემთხვევაში კი დიდი ხნის შრომა, ჯაფა, თავგანწირულება და თავდავიწყებაა საჭირო, რათა მოხიბლო სატრფო, რომელიც, პირველ ხანებში გულზვიადია და გულგრილად გიცქეროდა. დიახ, შაბლონიურ ფრაზით დავამთავრებთ ჩვენს, ცოტა არ იყოს, აბეზარ ქადაგებას: ცხოვრებაში გამარჯვებას დიდი ბრძოლა სჭირია და მრავალი წლის შრომაა საჭირო ყოველ სფეროში, რათა შენმა ღვაწლმა სასურველი შედეგი მოიტანოს.

კოტე აბაშიძე

გამოც უკანასკნელმა ევნატი გვერდში დასჭრა ხანით. ამას წინად ერთმა ბერმა თოფი ესროლა ევნატეს.

ზელენჩუკის მონასტერი გარყვნილ ყოფა-ცხოვრებისათვის, საბლაღოჩინო მონასტერს სათვალყუროდ გადასცეს.

პოლიტიკური არა კეთილსაიმედობა.

სოფ. კოსიხინსკში (ციმბირი) გაზეთ „ალტის ცხოვრების“ სიტყვით ორ მღვდელს შორის უთანხმოება მომხდარა. მღვდელი ვოზნესენსკი ძლიერ ჯავრობდა მღვდელ ვორონოვზე, რადგან უკანასკნელის გულჩვილობის გამო ხალხი მასაც არ აძლევდა იმდენ ფულს, რამდენსაც ის თხოულობდა. უთანხმოება იმით დასრულდა, რომ მღვდელ ვორონოვს ღვთის გმობა და „ებრაელების ჯგუფის“ დაარსება დააბრალეს. სოფ. პუსტინში. ამ სოფელში ყოფნის დროს მღვ. ვორონოვს თურმე ქადაგების დროს ეთქვა:

— ღმერთი ჩვენშია. თუ თქვენ თქვენი მოყვასისადმი სიკეთეს გამოიჩენთ, თქვენ ღვთიურად სცხოვრობთ“-ო.

ამის გამო გამოძიება იყო დანიშნული, მაგრამ გამომძიებელმა მოძღვარმა მის მოქმედებაში ცუდი ვერა ნახა რა.

მაგრამ მაისის ბოლო რიცხვებში სოფელში ჩამოვიდა ბლაღოჩინი და მღვ. ვორონოვს ტომსკის სასულიერო კონსისტორიის განაჩენი წაუკითხა:

„მღვდელ ვოზნესენსკის განცხადების მიხედვით, რომ უმცროსი მღვდელი ვორონოვი პოლიტიკურად არა კეთილსაიმედოა და ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებას არ თანაუგრძნობს, აეკრძალოს მას მღვდელმსახურება და გამოძიება დაინიშნოს.

„რუსკია მოლვას“ გამოუანგარიშებია, რომ 1913 წლის პირველ ნახევრის განმავლობაში ჟურნალ-გაზეთების ადმინისტრატიულ ჯარიმებისაგან შინაგან საქმეთა სამინისტროს შემოსვლია 74,700 მან. მაშინ კი ამავე ხნის განმავლობაში შემოსულა, 50,000 მან. და მთელი 1912 წლის განმავლობაში რუსეთის პრესსა დაუჯარიმებიათ 90,800 მანეთით.

პეტერბურგში ეხლახან მოხდა მაძებარ პოლიციის აგენტების სრულიად რუსეთის კრება. ამ კრებაზე ბევრი რამ სასაცილო ითქვა, ჩვენთვის, ჩვეულებრივ მცხოვრებთათვის. კრებამ დაჰგმო სხვათა შორის პროვოკაცია, ჯაშუშობა, სხვა უწყების ტანისამოსში გადაცმა დასხვა ასეთი, ერთი სიტყვით ჯაშუშებმაც მემარცხენეობა დაიწყეს.

75 წლისათვის საჭირო სასმელ-საჭმელი.

ერთს 75 წლის ინგლისელს დაებადა აზრი გამოითვალოს თუ რამდენი საჭმელი დასჭირებია თავის სიცოცხლეში. მისი გამოანგარიშებით საჭმელ-სასმელი 1300 ჯერ აღემატება მის სხეულის წონას. პური შეუჭამია იმდენი, რამდენიც საჭიროა მთელი ჯარისათვის ერთ იჯრაზე, ყველი იმდენი, რომ ამისგან შეიძლება წმ. პავლეს სობოროზე უმაღლესი სამრეკლოს აშენება, კვერცხები—12,000 ცალი, ე. ი. ორი ვაგონი და ამდენივე ერბო და კარაქი; რაც შეეხება ხორცისა და შაშხას ჭამებს, იმდენი, რომ სიგრძით რომ გააწყონ ათი ვერსის მანძილზე დიდი იქნებოდა.

ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

8 ივლისი

სოფია. რუმინიის სამხედრო რაზმმა, რომელმაც ვარნის რკინის გზის სადგური და ტელეგრაში დაიჭირა, ქალაქს თავი დაანება. ვარნა-სევასტოპოლს შორის კაბელით დამოკიდებულება განახლდა. რუმინიის სამხედრო რაზმი ჩერვენბერგიდან გავიდა და წასვლისას განაცხადა, რომ მალე რუმინიის ქვეითი ჯარი მოვაო. ოსმალების სამხედრო ესკადრონმა ლიულე-ბურგასი დაიჭირა. რაზმის უფროსმა ბულგარელების კომენდანტს განუცხადა, რომ მას ნაბრძანები აქვს ქალაქი დაიპყროს, მიუხედავად კომენდანტის განმარტებასა, რომ ლიულე-ბურგასი იმ სამიჯნო ხაზის დასავლეთისკენა არის, რომელიც ორივე მთავრობებმა ერთად დააწესა. კერძო ცნობებით ოსმალების ჯარი ინიადისაკენ მიეშურება, მიდიისაგან ჩრდილოეთისაკენ. ინიადის მცხოვრებლები გარბიან. მეორე ჯარის უფროსი იტყობინება, რომ სერბიელებმა როდოვისტი დასწვეს და მცხოვრებლები ამოსწყვიტესო. ბულგარელების სოფლები ორეხოვო, პანიცა, სამაკოვი და სხვანი, რომელიც სერბიელებს მიერ დაპყრობილ ოლქში იმყოფება, ბერძნებმა დაანგრიეს, ის მცხოვრებლები, რომელთაც გაქცევა ვერ მოასწრეს, ან ცეცხლში დაიღუპნენ, ან მტერმა შემუსრა. მეოთხე ჯარის უფროსი იტყობინება, რომ სერბიელებმა გადაბუგეს ბულგარელების ქალაქები: კავადირი და ნემოტინი.

5 ივლისი რუმინიის მხედრობამ ვარნა კვლავ დაიკავა. ოსმალელთა რაზმმა უზენკე-პრუ დაიჭირა. ბულგარელების მიერ განთავისუფლებულ ოსმალ ტყვეებმა, ბაშიბუზუკების ბრბოები შეადგინეს. ისინი ფრაკიაში თავზარსა სცემენ ბულგარელთა სოფლებს. მცხოვრებლები იხიზნებიან. წესიერების აღსადგენად ზომები მიღებული. ახალი კაბინეთი კრებას წარუდგა. რადოსლავოვმა ბრძანება წაიკითხა, რომლითაც დანევის კაბინეთის გადადგომა დამტკიცებულია და აგრედვე ახალი კაბინეთის შედგენაც. ამის შემდეგ მან სთხოვა, რომ სხდომა ორშაბათამდის შეეწყვიტათ, რადგან მთავრობამ დეკლარაციის ტექსტის შედგენა ვერ მოასწროვო.

ადრიანოპოლის სამხედრო გუბერნატორი იტყობინება, რომ ბერძნები თავს დაესხნენ რკინის გზის დარაჯებს. ბერძნები უკუ აგდეს: დაჭრილია ერთი ბულგარელი ჯარის კაცი.

— ახალ კაბინეთში სამივე ლიბერალურ პარტიის წარმომადგენლები შედიან: რადოსლავოვის მინისტრ-პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი და მიწადმოქმედების მინისტრის თანამდებობის დროებით აღმსრულებელი, ტინჩევი—საფინანსო, პეშოვი—იუსტიციისა და სახალხო განათლების მინისტრის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ვაზოვი — სამხედრო, ბაკალოვი — ვაჭრობა-მრეწველობასა, დიმიჩოვი — საზოგადო საქმეებასა, მარფოვი—საგზაო. რუმინელთა ჯარებმა სოფია ვარნას შუა რკინის გზაზე დაანგრიეს შარე დუბნიავსა და ტელიბნის შუა მდებარე ხიდი. დუბნიაკის ტელეგრაფი და სადგური დანგრეულია. პლევნის მახლობლად დანგრეულია ორი რკინის გზის ხიდი. პლევნას ტელეგრაფი გაფუჭებულია. როგორც ამბობენ გაფუჭებულა აგრედვე მდინარე ვიტზე მდებარე ხიდები სოფ. კრეტასთან.

ბელგრადი. პრეს-ბიურო იტყობინება: გუშინ დიდი შეტაკება არ მომხდარა, ნიშვოს მარჯვენა ნაპირას ბულგარელები შეეცადნენ სერბიელების ჯარებზე იერიშის მიტანას, მაგრამ ღამის პირველ საათზე ისინი უკუგდებულ იქნენ. წმ. ნიკოლოზის მთასთან სერბიელების ჯარები ბულგარეთის საზღვრებზე გადავიდნენ და ჩუპრენამდე მივიდნენ. ბულგარელებმა ბელოგრადჩიკისა და ფერდინანდოვისაკენ დაიხიეს. ბულგარეთის მთავრობის განკარგულებით ყველა ადგილობრივ მცხოვრებს თავიანთი ბინები უნდა მიეტოვებია. წასვლისას ბულგარელებმა რამდენიმე ძველ შენობას ცეცხლი წაუკიდეს. ბულგარელებმა ეგრი-პალიანკასთან სერბიელების ჯარზე იერიში მიიტანეს დილის 3 საათზე, მაგრამ მალე დამარცხდნენ. მათ დევებარისაკენ დაიხიეს ბრეგალნიცის სათავეში სოფ. ცირევისაკენ სერბიელებმა მედგარი იერიშები მიიტანეს ბულგარელებზე. ბულგარელების დევიზიამ საზღვრებიდან სოფ. ცესამდე განსწვრივ შეეცადა კონტრატაკის მოხდენა, მაგრამ დამარცხდა.— გუშინ ნაშუადღევისას სერბიელებმა კულუ დაიჭირეს. ბულგარელებმა ვიდინ-სკენ დაიხიეს. კულუს აღების შემდეგ სერბიელებმა ბულგარეთის საზღვრები ოთხ ადგილს გადალახეს და ეხლა განაგრძობენ წინსვლას.

ბუქარესტი. ბულგარელების ქვეითა ჯარის ბრიგადა, რომელსაც თან 12 ზარბაზანი ჰქონდა, რუმინელების დივიზიას ტყვედ დანებდა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

7—8 ივლისი.

უცხოეთი.

ვენა. „ნეიე-ფრეიე-პრესსე“, რომელმაც რამდენჯერმე აღნიშნა, რომ უეჭველად საჭიროა რუსეთ-ავსტრიის შორის შეთანხმება, სიხარულით ეგებება აქ გავრცელებულ ხმებს ავსტრო-ჰუნგრეთისა, რუსეთისა და ინგლის პრინციპიალურად შეთანხმების შესახებ და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ამ კავშირის წყალობით ეხლანდელ მომენტში თავიდან აცილებულია დიდი ხიფათიო.

ათინა. ათინაში მყოფი საფრანგეთის მისიის მდივანი და საფრანგეთის სამხედრო აგენტი ლეპიდი, საფრანგეთის მთავრობის განკარგულებით მაკედონიას გაემგზავრა, სადაც უნდა შეამოწმოს ამბები ბულგარელების მხეცობის შესახებ. პირეიში ინგლისის სამი კრეისერი მოვიდა. ელიან კიდევ ოთხ კონტრ მინანოსებს.

სტამბოლი. მინისტრთა საბჭოს საგანგებო კრება დაიწყო, რომელზედაც უნდა გადასწყდეს თუ რა გზას უნდა დაადგეს ოსმალეთი ეხლანდელ კრიზისის გამო.

ბუდაპეშტი. „პერსი-ხირლაპი“ მაკედონიის ავტონომიას იცავს და ამბობს: სალონიკელ ებრაელების დეპუტაცია წყნარად და ნაყოფიერად მუშაობდა ვენაში, ლონდონში, რომში, ბერლინში, და შეერთებულ შტატებში და სცდილობდა, რომ მაკედონიისთვის დამოუკიდებლობა მოეპოვებინა.

ლისაბონი. პოლიციას შეატყობინეს, რომ ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში ყუმბარებით თავდასხმა მოხდებაო. დღეს დილით ქუჩებში საეჭვო ავტომობილები გამოჩნდა. ავტომობილები დაიჭირეს. ამავე დროს კაზარმებთან საეჭვო პირთა ჯგუფები გამოჩნდა. ერთი ჯგუფისაგან ყუმბარა გადაისროლეს, რომელიც აფეთქდა და ორი ჯარის კაცი იმსხვერპლა. მეორე ადგილას რევოლვერით დარაჯი მოჰკლეს. ავტომობილში მყოფნი დატყვევებულნი არიან. ერთ ავტომობილში იპოვეს ყუმბარით სავსე კალათა. ყუმბარა აღმოაჩნდა აგრედვე საეჭვო პირს, რომელიც გადაცმული იყო მეზღვაურის ტანისამოსში და საზღვაო კაზარმაში შეიპარა. ეხლა ქალაქში მშვიდობიანობაა.

— უწესოების მოხდენის შიშის გამო მთელი ღამე ჯარის კაცები საომარ წესათ იყვნენ დამზადებულნი. შეიპყრეს რამდენიმე კაცი.

შტუტგარდტი. მთელ ვიურტემბერგსა და სტრასბურგში 1 საათსა და 7 წუთს დიდი მიწის ძვრა იყო. შტუტგარდში მილები დასქდა.

რუსეთი

შადრინსკი. ისეტის გუბის უდროვოდ გადაშვების გამო ეკატერინბურგში ისეტმა გადაიარა სოფლები და მინდვრები.

მინსკი. სენატმა ხელ-ახლა განასაჩივრა ვილნის სასამართლო პალატის განაჩენი, ნოვომშენის კოსტიოლის ქსენძის განიჩის საქმის გამო, რომელსაც ყალბი სამეტრიკო ქაღალდების გაკეთებისათვის მისჯილი ჰქონდა 10 თვისა და 20 დღის ციხე და აგრედვე უფლებათა ჩამორთმევა.

სიზრანი. ციმბირის საფოსტო მატარებელს სადგურ ბატრაკზე დიდმა ნიაღვარმა მოასწრო. მგზავრებს ვაგონებიდან გამოსვლა არ ძალუძთ. წყალი მატარებლის ბორბლებს ასცდა. მოძრაობა შესწყდა.

კიევი. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის სამმართველომ განკარგულება გასცა, რომ არ დატვირთონ ის ბარგი, რომელიც დაკვეთილია რუმინიისა და ბულგარეთის ნავთსადგურებში გასაგზავნად. შეჩერებულია აგრედვე ოდესაში და შავი ზღვის კიდის ნავთსადგურებში სატრანზიტო ბარგის გადაზიდვა.

ჩენსტოხოვი. ვარშავის სამხედრო-საოლქო სასამართლოში დაიწყო განხილვა „სამაგიეროს გადამხდელ რევოლიუციონერების“ ბრბოს საქმისა. სამართალში 111 კაცია მიცემული. ამათგან ერთი კვირის წინად დიდი ნაწილი ციხიდან გაქცევას აპირებდა. ბრბოს წევრებს ბრალად ედება პოლიცმეისტერის პეკურის მოკვლის განზრახვა, უბნის ზედამხედველის ზენკივსკისა მოკვლა და აგრედვე მთელი რიგი ძარცვა, რომლის დროსაც დაჭრილი და მოკლული იყო რამდენიმე კაცი. ბრალდებულთა რიცხვში არის ქალიც, რომელსაც ბაემსკის მოკვლაში რევოლიუციონერების წაქეზება ბრალდება.

წერილი რედ. მიმართ

მ. ხ. გ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ყველა იმ პირს, რომელმაც ს. ილემში ჩემდამი რწმუნებულ სამრევლო სკოლის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენაში პირადი მონაწილეობით, შრომითა და ქონებრივი დახმარებით ხელი შეუწყო წარმოდგენის მოწყობას.. განსაკუთრებით მადლობას ვსწირავ ბ.ბ. ვასო გორგაძეს, რომლის მეთაურობით გაიმართა წარმოდგენა.. აგრედვე გრ. გორგაძეს, ბეს. გორგაძეს, ლ. მაჭავარიანს და მასწავლებელს ალ. გორგაძეს; ქ-ნ ელენე წერეთლის ასულს, მარგალიტა წერეთლის ასულს და ზინა პ. ასულს მაჭავარიანისას. დასასრულ, ულრმეს მადლობას ვსწირავ პატივცემულ საზოგადოებას, რომელიც სიყვარულით და თანაგრძნობით მიეგება ამ ჩვენი სოფლისთვის სასარგებლო საქმეს.. შემოსავალი დაუყოვნებლივ მოხმარდება სკოლის საჭიროებას,,

ს. ზედა-ილემის სამრევლო სკოლის მმართველი მღვ. **ვასილ ბ. გორგაძე**.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით)

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ, № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადმზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაზე: № 65, **სააგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **სააგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 სად. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** სად, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, სიშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ექიმი ა. შ. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე სალამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„მამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აველისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. სალამოობით 6 7 საათამდე.
ს ა ლ ა მ ო თ ი:
მ. გ. აველისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. წიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ მაქარაშვილისა.

ექიმი ა. ნ. ღიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს, სალამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ბათ კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 56.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—13.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **მ. ფომინა-თხიპაშვილისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის-ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ნალაკნის მოედანზე.

ამ წლის 1-ლ აგვისტოდან
ქ. გორში კვლავ გამოვა სასოფლო-სამეურნეო და სალიტერატ. გაზეთი
„ქართლი“
გაზეთი დაიბეჭდება **ყოველ-დღე** კვირა-უქმეთა ლოცვის დღეების გარდა. **ფასი გაზეთისა:** 1 წლით 6 მ., ნახევარი წლით 3 მ. და 50 კ., სამის თვით 2 მ., 1 თვით 70 კ., ცალკე ნომერი 3 კ.
პირველ ნომრებიდანვე გაზეთ „ქართლ“-ში დაიბეჭდება დიდად საყურადღებო „მოგონებანი“ (მემუარები) ოლღა ბატონიშვილისა, (მოსკოვში ახლად გარდაცვალებულ ოლღა ილიას (ირაკლი მეფის შვილის) ასულისა.
რედაქტორ-გამომცემელი **ია ეკალაძე-ცინცაძე.**
გაზეთის დასაკვეთი ფული და მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: **ქ. გორი, ი. ცინცაძეს.** 1377

ხრესილი
ჭიათურის
აბანო
ძმ. ყორყოლაძეების
მიმართეთ პირდაპირ
15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი
მადნეული წყალი
შემოწმებული და გამოკვლეულია, რომ ეს მადნეული წყალი ჰკურნავს სხვა და სხვა სენისაგან, როგორიც არის მაგალითად—**ქარები,** (რევმატიზმი) **კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხ.** წყალი მიიღება თბილი და ცივი. აბანო მდებარეობს ხრესილის **„სერნი ვოდის“** სადგურიდან 150 საჟენის მანძილზე. ბარგის გადატანა და მისვლა-მოსვლა ადვილია, რადგან ქუთაისიდან მატარებელი დღეში ორჯერ გადის. აბანოსთან არის სუფთა ბინა და ბუფეტი. **ფასები ყველაფერზე ხელმისაწვდომია.** 1385

საათის ნამდვილი ზომა

ოქროს საათი
სრულიად არ არის საჭირო. 200 მან. ღირსებულ ოქროს საათის მაგიერ გამოიწერეთ პირდაპირ ბერლინიდან ფრანგული ოქროს საათი „**ხრონომეტრი**“ ხისტ მისა, რომელიც გარეგნობით და სილამაზით ოქროს საათს არ ჩამოუვარდება. სულ ღირს **4 მ.** საათი ესე ქალისა თუ კაცისა ძლიერ თხელია ორი სახურავით, ლაფარ. ელექტრ. 18 კარანტიანი სქელი ოქროთი. საათის მექანიზმი საუკეთესო ხარისხისა, ქვებით, მოსამართი „რემონტუარი“ ერთხელ 40 საათის განმავლობაში, სვლელობა შემოწ. წუთამდე. **მუშაობის სწორობისათვის პასუხს ვაგებთ 10 წლის განმავლობაში.** საათის ფასი 4 მ., 2 საათი—**7** მ. **50** კ., 4 საათი—**14** მ. **25** კაპ., ვინც ამ საათს გამოიწერს, სამუდამოდ მადლიერი იქნება ჩვენი. ყოველ საათს **უფასოდ** ვუმატებთ: 1. კაცისთვის ოროფენა ძეწკვს საათისას. ან და ქალის ყელზე გასაკეთებელს ნამდვილი ფრანგულ ოქროსას; 2. ბრელოკს, ბინოკლს პარიზის საინტერესო სანახაობებით; 3. საათის ზუდეს ჩამ... [illegible]; გადასაგზავნი ფასი ზაჭით—50 კ., (ციმბირში 75 კ.). დაკვეთილს ვაგზავნით თავის დროზე, უზეოდ, ფასდადებით; მოწერა ყველა ენაზე შეიძლება. შემდეგის მოსამართით, რომელიც შეიძლება ამოიჭრას და კონვერტზე დაიკრას ან და გადაიწეროს (კონვერტ. 10 კ. მარკა) ან ღია წერილზე (4 კაპ. მარკა).
წერილი გამოგზავნეთ:
Berlin I. Strumfeld
Берлинъ 95. Klosterstr. № 42.
გაფრთხილება! 1. მიბაძვის თავიდან ასაცილებლად ვაცხადებთ, რომ ჩვენი საათი ნამდვილი **ხრონომეტრია**“, ციფერბლატზე აწერია: „ბერლინი **ხრონომეტრი**“. M. 38220. 1362.

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფანტაზია“,
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილება ყოვლ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრედვე საზოგადო სათავადო-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29% და 35%, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.
1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 7:2.
ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა (ქიტკა)
აგრედვე ყოველ დროს იყიდება მალაზიაში **მარტის დღში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და
კონსერვები.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.